გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№44 (1685) 22 – 28 ნოემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივა მილიონამდე ადამიანს ჯარიმისგან იხსნის

რას გულისხმობს სამშენებლო ამნისტია

საჭირო იყო თუ არა და რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოიტანა „ვარდების რევოლუციამ“

რა მოხდა 20 წლის წინ საქართველოში – ვახტანგ ძაბირაძის შეფასებები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„სხოდკა“ – როგორ გადაურჩა „კანონიერი ქურდი“ „ჭია“ დაჭერას

ქართველი კრიმინალების წინააღმდეგ ესპანეთში ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის უცნობი დეტალები

„გრუზინული“ სახის მეტყველების საუკეთესო ნიმუში“

რას ემსახურება „უცნობის“ ახალი სკანდალური კლიპი „ღრუსი მოდის“ – ლელა ჯეჯელავას ანალიზი

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია 20 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 20 პირი დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით სამი პირი – 1972 წელს დაბადებული ჯ.მ., 1981 წელს დაბადებული ლ.ა. და 1984 წელს დაბადებული ზ.მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად სხვადასხვა სახის იარაღი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1998 წელს დაბადებული ა.ა. და 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ა. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს 2 ცეცხლსასროლი იარაღი, 3 მჭიდი და 35 ვაზნა.

ამავე სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – წარსულში ნასამართლევი, 1999 წელს დაბადებული დ.ხ. და 1968 წელს დაბადებული წარსულში ნასამართლევი გ.ჩ. დააკავეს. პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, 2 მჭიდი, 18 ვაზნა და ცივი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1990 წელს დაბადებული ც.გ. და 1989 წელს დაბადებული ვ.ჩ სხვადასხვა დროს დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, 2 პისტოლეტი, 2 მჭიდი და 6 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულისა და თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1981 წელს დაბადებული ვ.ს. და 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.კ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულების საცხოვრებელი სახლების და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ამავე პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული დ.ც. დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 4 მჭიდი და 78 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის, სენაკის, წალენჯიხის და მარტვილის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი – წარსულში ნასამართლევი 1993 წელს დაბადებული ჯ.დ., 1992 წელს დაბადებული ა.თ., 1981 წელს დაბადებული ნ.ვ. და 1977 წელს დაბადებული კ.ძ. დააკავეს.

პოლიციამ ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი სახლების და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო 4 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 3 პისტოლეტი, 2 სანადირო თოფი, 4 მჭიდი, 51 ვაზნა და მცირეკალიბრიანი შაშხანა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი – 1990 წელს დაბადებული პ.კ. და 1988 წელს დაბადებული ლ.ა. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად 2 ცეცხლსასროლი პისტოლეტი 25 ვაზნა და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავეს. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია: გადაჭრილი სანადირო თოფი, ე.წ „აბრეზი“ და 24 ვაზნა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1972 წელს დაბადებული ო.წ. დააკავეს. სამართალდამცავებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევი, 8 მჭიდი და 400 ვაზნა ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ბათუმის მართლწესრიგის ოფიცრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ფიცი დადეს

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის სამოქმედო არეალი ეტაპობრივად ფართოვდება.

თბილისის და რუსთავის შემდეგ მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ბათუმშიც ამოქმედდება.

ოფიცრების შერჩევა საკონკურსო წესით მოხდა. კონკურსში გამარჯვებულმა კანდიდატებმა პოლიციელის ფიცი დადეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სწავლა დაიწყეს.

ცერემონიას პოლიციის აკადემიის რექტორი ზურაბ ზუბადალაშვილი დაესწრო. მან მართლწესრიგის ოფიცრებს ფიცის მიღება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ფიცის მიღების ცერემონიაზე, მსმენელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, გმირულად დაღუპული შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხსოვნას. ცერემონიაზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი გაჟღერდა.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცერთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გაიზრდება და ინსტიტუტი ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედდება.

საჭირო იყო თუ არა და რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოიტანა „ვარდების რევოლუციამ“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა მოხდა 20 წლის წინ საქართველოში – ვახტანგ ძაბირაძის შეფასებები

„ვარდების რევოლუციიდან“ 20 წელი გავიდა. 2003 წლის ნოემბერში, საქართველოში, არჩევნების გაყალბების საბაბით, მშვიდობიანი სახალხო აქციები დაიწყო, რასაც 23 ნოემბერს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა და საქართველოს ხელისუფლების ცვლილება მოჰყვა. „ვარდების რევოლუციამ“ ქვეყანაში შეცვალა შევარდნაძის 11-წლიანი მმართველობა. ხელისუფლებაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ძალით – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

„ვარდების რევოლუციის“ მიზეზ-შედეგობრივ კავშირსა და ისტორიულ მნიშვნელობაზე „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.

ძაბირაძე ინტერვიუს „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდზე საუბრით იწყებს, რადგან მიიჩნევს, რომ იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა მდგონარეობაში იყო ქვეყანა, რთული იქნება ახსნა, რა მოხდა და როგორ მივედით რევოლუციამდე:

„ეს იყო შევარდნაძის პერიოდი და ქვეყანაში აბსოლუტურად მოშლილი იყო ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი. მთლიანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება აგებული იყო კორუფციულ ურთიერთობებზე. ფაქტობრივად, კორუფციას ჰქონდა ლეგალური ხასიათი. არავისთვის მოულოდნელი არ იყო, რა და როგორ ხდებოდა, ნებისმიერი საქმის მოგვარება შეიძლებოდა კორუფციის საშუალებით და იმდენად მდიდარი იყო ეს კორუფციული ვითარება საზოგადიებაში, რომ აუტანელი გახდა... როცა სახელმწიფო ინსტიტუტები ამ დონეზეა მოშლილი, როგორც შევარდნაძის დროს იყო, თავად სახელმწიფო ინსტიტუტები იყო კორუფციის წყარო, კორუფციის პრინციპზე იყო აგებული და ამან იმ ზღვრამდე მიაღწია, რომ ასეთი ვითარების ატანა შეუძლებელი გახდა და შესაბამისად, მომწიფდა ვარდების რევოლუცია“.

ანალიტიკოსი აქვე, ერთ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას:

„შევარდნაძის მმართველობა პირობითად შეგვიძლია დავყოთ ორ პერიოდად. ეს იყო 1992-95 წლები, როდესაც ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებიდან ნელ-ნელა გადავიდა მშვიდობიან ცხოვრებაზე და ამას თან ერთვოდა საყოველთაო პრივატიზაცია.

1995 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუცია, გარკვეული წინსვლა იყო და ეროვნული ვალუტა, ლარი მივიღეთ... ვითარება მეტ-ნაკლებად, თითქოს დასტაბილურდა, მაგრამ საყოველთაო პრივატიზაციამ გამოიწვია საყოველთაო კორუფცია. აი, 1995 წლიდან, გარკვეულწილად, პოლიტიკური ვითარებაც შეიცვალა. თუ 1992-95 წლების პარლამენტი იყო ჭრელი, მრავალპარტიული, 1995 წლიდან მხოლოდ სამი პოლიტიკური ძალა მოხვდა პარლამენტში – მოქალაქეთა კავშირი შევარდნაძის ხელმძღვანელობით, აღორძინება – ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით და ეროვნულ-დემოკრატები, თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა საყოველთაო კორუფციას. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ 1995 წლიდან, „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედნი უკვე ხელისუფლებაში იყვნენ წამყვან პოზიციებზე. ზურაბ ჟვანია იყო პარლამენტის თავმჯდომარე და სააკაშვილი სანამ მინისტრი გახდებოდა შევარდნაძის მთავრობაში, მანამდე იყო უმრავლესობის ლიდერი ანუ ამ ორ ფიგურას, რომლებმაც შემდეგ ვარდების რევოლუცია მოახდინა, საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ და მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის კორუფციული ვითარება... ოღონდ კორიფციის წინააღმდეგ ბრძოლა ცოტა გვიან დაიწყო სააკაშვილის მეთაურობით“.

ძაბირაძის თქმით, ეს მოხდა შევარდნაძის პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ:

დასასრული მე-4 გვერდზე

საჭირო იყო თუ არა და რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოიტანა „ვარდების რევოლუციამ“

მე-3 გვერდიდან

„ერთი ფაქტორია მნიშვნელოვანი – შევარდნაძე მეორედ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე და მესამე ვადით ის კენჭს ვეღარ იყრიდა ანუ რეალური ძალაუფლების საკითხი დგებოდა, ვინ გააგრძელებდა სახელმწიფოს მართვას. ამ მომენტში დაიწყო კორუფციაზე ლაპარაკი, თუმცა როგორც უკვე ვთქვი, 1992 წლიდან მოყოლებული, 1999 წლამდე ყვაოდა კორუფცია ქვეყანაში.

თუმცა, ეს იყო მაინც დადებითი მოვლენა და პროცესი, რადგან ცხოვრების ისე გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო. სხვა პოლიტიკური ძალა იმ მომენტში ქვეყანაში არ გამოჩნდა, რომელიც ამ კორუფციას ასე რადიკალურად დაუპირისპირდებოდა და რა თქმა უნდა, იყო კითხვის ნიშანი – ეს ხალხი თავადაც ხელისუფლებაში იყო, როცა კორუფცია ყვაოდა და არ დაუპირისპირდნენ, სანამ ძალაუფლების მემკვიდრეობის საკითხი არ დადგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იყო მხარდაჭერა, რადგან შეუძლებელი იყო ცხოვრების ისე გაგრძელება“.

ვახტანგ ძაბირაძე რევოლუციის მნიშვნელობაზე საუბრობს:

„ასე მივედით „ვარდების რევოლუციამდე“ და რაც შეეხება თავად ამ საკითხს – ჩემთვის და ბევრისთვის, რომლებიც მხარს ვუჭერდით ამ რევოლუციას და ზოგი აქტიურად, ზოგიც ნაკლებად ვმონაწილეობდით ამ პროცესში, მნიშვნელივანი ფაქტორი იყო და არც დღეს ვაპირებ ამის გადაფასებას, ქვეყანა აბსოლუტურ ქაოსამდე იყო მისული... თუმცა, ეჭვი და სიფრთხილე იმისა, რომ ახალი ხელისუფლება მაინცდამაინც არ გაატარებდა იმ რეფორმებს, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ ქვეყანაში თვისობრივად ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბებულიყო, არსებობდა და სამწუხაროდ, ძალიან მალე 2004 წლის გაზაფხულზე, როცა კონსტიტუციაში ცვლილებები იქნა შეტანილი, ნათლად ჩანდა, რომ ისეთი ახალი სახელმწიფოს მშენებლობა, როგორიც იყო საჭირო, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. რადგან კონსტიტუციაში შეტანილი იქნა შესწორება „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომლითაც პრეზიდენტ სააკაშვილს შაჰის უფლებები ჰქონდა მინიჭებული და არავინ იცოდა, ამას როგორ გამოიყენებდა, თუმცა სანამ ეს ცვლილებები მოხდებოდა, უკვე არსებობდა გარკვეული სიმპტომები“.

ანალიტიკოსის თქმით, შევარდნაძის დროს იყო კორუფციული ავტორიტარიზმი, სააკაშვილის დროს კი მივიღეთ აგრესიული ავტორიტარიზმი:

„სახელმწიფოს სტრუქტურები აღდგა და ფუნქციონირება დაიწყო, მაგრამ ყოველგვარი დემოკრატიული პრინციპების დარღვევით. გამოიკვეთა ერთპიროვნული მმართველობა მთელი თავისი სისასტიკით, რამაც გაძლო 2012 წლამდე.

დადებითი იყო ის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ფუნქციონირებდა, ოღონდ აქაც პრობლემაა, რადგან ფუნციონირებდა, როგორც ავტორიტარული რეჟიმის შემადგენელი ნაწილები და არა – დემოკრატიული საწყისების მქონე. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სასამართლო ისევ ისეთი დარჩა, ოღონდ ახალი კადრებით დაკომპლექტდა, ისევ ისე ფუნქციონირებდა და იმართებოდა და, სხვათა შორის, დღესაც ასეა. სასამართლოს პრობლემა სულ გვაქვს ჩვენ, რაც თავი მახსოვს. პოლიციის რეფორმა თავიდან ძალიან დადებითად მიიღო მთელმა საზოგადოებამ, მაგრამ ძალიან მალე გადაიქცა დამსჯელ ძალად და დღემდე გრძელდება მეტნაკლები სისასტიკით...

რევოლუციის შემდეგ საყოველთაო კორუფცია მოისპო, მაგრამ კი არ გამქრალა, მივიღეთ ელიტური კორუფცია“.

ძაბირაძის თქმით, დღეს არავინ ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ეს საკითხიც:

„2010 წლის კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფომ მიიღო და თითქოს გადავდიოდით საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მმართველობაზე, ვისაც ახსოვს იმ ცვლილების შინაარსი, დამეთანხმება, რომ ზუსტად იგივე მოდელი იყო, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტს ანაცვლებდა პრემიერის ინსტიტუტი ანუ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე და მათ შორის ბალანსზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ასე რომ, შევაჯამებ – ინსტიტუტებმა ფუნქციონირება დაიწყეს, ოღონდ რეპრესიულ სტილში; ქვეყანას გაუჩნდა ბიუჯეტი, ოღონდ ეს გახდა ახალი წყარო კორუფციისა; საყოველთაო კორუფციიდან მივიღეთ ელიტური კორუფცია; ჩვეულებრივი ავტორიტარული რეჟიმიდან მივიღეთ აგრესიული ავტორიტარიზმი“...

„გრუზინული“ სახის მეტყველების საუკეთესო ნიმუში“

თიკა ცაავა

რას ემსახურება „უცნობის“ ახალი სკანდალური კლიპი „ღრუსი მოდის“ – ლელა ჯეჯელავას ანალიზი

„უცნობის“ ახალ კლიპზე „ღრუსი მოდის“ – „ვერსია“ ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავას ესაუბრა:

„კლიპი კარგად გადმოსცემს მისი ავტორის მენტალურ და სულიერ მდგომარეობას. ძალიან კარგად იკითხება ის პრობლემები, რაც საზოგადოების ამ ნაწილს აქვს ჩვენს ქვეყანაში და შემიძლია ვთქვა, რომ „უცნობი“ რეალურად წარმოადგენს საზოგადოების ამ ნაწილის გემოვმებასაც, ესთეტიკასაც, მენტალურ და სულიერ მდგომარეობასაც.

შესაბამისად, რომ გითხრათ, ჩემში რამე განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია, ასე ნამდვილად არ არის. ამას დავარქვი „იავნანა ქოცებისთვის“. პირველი ინფორმაცია, რაც მოიტანა ამ კლიპმა ჩემთვის, არის ეს და ამ ადამიანების პრობლემა სწორედ იმაშია, რომ ასეთი კატეგორიებით აზროვნებენ.

რაც უნდა ამტკიცონ, როგორც არ უნდა შეეცადონ და უთხრან საზოგადოებას, რომ ეს კლიპი არის შექმნილი მათ ოპონენტებზე, სრულიად უნაყოფო იქნება, რადგან შეუძლებელია, ასეთი ალუზიები, პერვერსიები გაჩნდეს, ამას თუ არ განიცდი... შესაბამისად, არაფერი ამაში გასაკვირი არაა.

ყველაზე მეტად მაშფოთებს ერთი რამ – გავიხსენოთ

2007-2008 წლები, როცა ძმები „გრეჩიხები“ იყვნენ მამოძრავებელი მუხტი ქართული ოპოზიციისა, მაშინ ყველაზე მეტად გამოიკვეთა და ფიგურირებდა ასეთი თემა, რომ „გრეჩიხები“ არიან ჯიგარი ქართველები, რომლებიც ატარებენ ყველა იმ თვისებას, რაც არის ქართველისთვის დამახასიათებელი. შესაბამისად, ვნახეთ, რა ტიპის დეგრადაციას განიცდის ამ ტიპის ქართველი დღემდე ანუ როგორია ჯიგარი ქართველი (ჩემი გადასახედიდან, ეს კატეგორია არის არა ქართველების, არამედ, სწორედ ის, რასაც „გრუზინს“ ვეძახით), როგორი სახის მეტყველება აქვს „გრუზინს“ – ეს კლიპი არის ამის საუკეთესო დემონსტრირება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის უფრო მეტად მასკულინური ნაწილის სახის მეტყველება ამ საზოგადოებისა, ჩვენ ბევრად ღრმა პრობლემასთან გვაქვს საქმე...

ეს არის მუსიკითა და ვიზუალური ეფექტებით გადმოცემული პოლიტიკური მრწამსი, რომელსაც აქვს აბსოლუტურად შესაბამისი ფსიქოლოგიური კონტექსტი და რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ ჩვენი მრწამსია არა ევროპას, არა რუსეთს და არის პროქართულიო, ეს არ არის ქართული ესთეტიკა.

ის, რაც „უცნობმა“ მოიტანა, არანაირად ქართული ესთეტიკა არ არის. სასაცილო იქნება, რომ ამ კლიპზე, როგორც ნაწარმოებზე, სერიოზულად ვიმსჯელოთ, უბრალოდ, უნდა ვთქვათ, რომ ეს არის „გრუზინული“ სახის მეტყველების საუკეთესო ნიმუში, რომლითაც გადმოცემულია მათი პოლიტიკური და რაც ყველაზე მთავარია, მათი მენტალური, სულიერი მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ მძიმეა.

ეს არის თვითუარყოფის რეჟიმში გადასული საზოგადოება, განსაკუთრებით მასკულინურ ნაწილს ვგულისხმობ, რადგან მათი ძირითადი რისხვა მიმართულია ქალების წინააღმდეგ და ყველაზე უხეში ფორმითაა გამოხატული.

თუ გრძნობთ, ქალისადმი დამოკიდებულება ამ კლიპშიც კარგად ჩანს. სკოლის მოწაფემაც იცის ინისა და იანის – ქალური და მამაკაცური ენერგიების შესახებ უკვე და ეს ადამიანები საკუთარ თავსვე უარყოფენ, როცა ქალის მიმართ ასეთ დამოკიდებულებას ავლენენ.

ეს კლიპი, როგორც ჩანს, გათვლილია მისივე და უფროსი თაობისკენ. ჩვენი საზოგადოების გრადაცია ძალიან მარტივად არის ჩამოყალიბებული, ძირითადი გამყოფი ხაზი გადის „გრუზინებსა“ და ქართველებს შორის. შესაბამისად, ის ახალგაზრდა თაობა, რომლის გემოვნება ზოგჯერ ჩვენთვისაც გაუგებარია, სულ სხვა მენტალობის მქონე თაობაა და ეს ესთეტიკა მათთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია.

ამიტომ, ესთეტიკა, რომელიც კლიპშია წარმოდგენილი და არაფერი აქვს საერთო ქართულთან, არის დროს სრულიად აცდენილი. შესაბამისად, ეს არის მილევად რეჟიმში მყოფი საზოგადიებისთვის განკუთვნილი და უნდა ვაცადოთ დასრულება“.

ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივა მილიონამდე ადამიანს ჯარიმისგან იხსნის

მაკა რუხაძე

რას გულისხმობს სამშენებლო ამნისტია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, დაახლოებით, 1 მილიონი ადამიანი სამშენებლო ამნისტიით ისარგებლებს. მთავრობის მეთაურმა იუსტიციის მინისტრს ამინისტიის პროექტზე მუშაობა უკვე დაავალა, რომელიც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს შეეხება.
წლების წინ, უნებართვოდ დაეუფლეთ მიწის ნაკვეთს, რომელიც შემოღობეთ და სახლიც ააშენეთ, თან ისე, რომ საკუთრება ოფიციალურად დარეგისტრირებული არ გაქვთ? ჰოდა, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივა სამშენებლო ამნისტიის შესახებ თქვენ გეხებათ და ეს სტატიაც აუცილებლად უნდა წაიკითხოთ.

ირაკლი ღარიბაშვილმა ახალ ინიციატივაზე მთავრობის სხდომაზე იმსჯელა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ – მომავალში აღმოიფხვრება უკანონო სახლების მშენებლობის პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ – მოქალაქეები, რომელთაც აქვთ ინდივიდუალური სახლები სოფლად ან ქალაქად და რომლებზეც არ გაცემულა სამშენებლო დოკუმენტაცია, აღარ იქნებიან ვალდებულნი, გაიარონ ლეგალიზაციის რთული და ხარჯიანი პროცედურა.

იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, სამშენებლო ამნისტია გავრცელდება 2024 წლის 1 იანვრამდე, ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ინდივიდუალურ შენობა-ნაგებობაზე, რომელსაც პირი სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე ფლობს.

რატი ბრეგაძის განცხადებითვე, სამშენებლო ამნისტია მილიონზე მეტ ადამიანს შეეხება:

„ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში მასობრივად არის აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, რომლებზეც არ გაცემულა მშენებლობის ნებართვა, ან არ არსებობს სამშენებლო დოკუმენტაცია. სწორედ ამიტომ, საჯარო რეესტრის ახალ ამონაწერებში მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ საკუთრების უფლება ხარვეზიანია და შესაბამისად, ეს ობიექტები ვერ იქნება სრული მოცულობით ჩაშვებული ეკონომიკურ ბრუნვაში. გარდა ამისა, ამ პრობლემას ასევე უკავშირდება დაჯარიმების ან დემონტაჟის რისკი, რაც მილიონზე მეტ ადამიანს ეხება. საკუთრების უფლების სრული მასშტაბის უზრუნველსაყოფად და უკანონო მშენებლობიდან მომდინარე რისკების ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ჩვენ შევიმუშავეთ ამნისტიის პროექტი, რომელსაც პარლამენტს წარვუდგენთ. ის გავრცელდება 2024 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, რომელიც სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშეა და ეს უნდა იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი“, – განაცხადა რატი ბრეგაძემ.

მისივე თქმით, ახალი ინიციატივით, ასეთ სახლებში მცხოვრებ პირებს აღარ დასჭირდებათ ლეგალიზების კომპლექსური პროცედურის გავლა და მათ აღარ ექნებათ დაჯარიმების ან/და დემონტაჟის რისკი, რადგან ისინი სრულად ისარგებლებენ საკუთრების უფლებით, რაც კონსტიტუციით გათვალისწინებული საკუთრების უფლების რეალიზების კიდევ ერთი ნათელი დასტური იქნება.

„რა თქმა უნდა, ეს იქნება ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლება, საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს საკუთარი უფლებების რეალიზებაში. ინიციატივა შეეხება მილიონზე მეტ ადამიანს. ეს ინიციატივა გავრცელდება მხოლოდ იმ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, რომლებიც აშენებული იქნება 2024 წლის 1 იანვრამდე. ის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, რომლებიც აშენდება შემდგომ, აღარ დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და შესაბამისად, ვეღარ ჩაეშვება ეკონომიკურ ბრუნვაში. ეს ინიციატივა არის არა მხოლოდ ამნისტია, არამედ, ეხმიანება უკანონო მშენებლობების პრობლემას. ვიმედოვნებთ, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრის შემდგომ დასრულდება ყველა ის სირთულე, რაც თან ახლავს უკანონო მშენებლობებს და 2024 წლის 1 იანვრიდან, საქართველოში ნებისმიერი ინდივიდუალური სახლი აშენდება კანონიერად“, – დასძინა რატი ბრეგაძემ.

პრემიერ-მინისტრის ინიცირებულ სამშენებლო ამნისტიის პროექტს, რატი ბრეგაძე, მთავრობის სხდომაზე უმოკლეს ვადაში წარადგენს.

რა დარღვევები გამოვლინდა ბათუმში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში

მაკა რუხაძე

არამიზნობრივად გაფლანგული საბიუჯეტო სახსრები – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2020-2021 წლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა არამიზნობრივად გაფლანგა. მეტიც, ინფრასტრუქტურული პროექტები მთელი რიგი დარღვევებით განახორციელა, მათ შორის, ფინანსური რესურსების მართვაში, სახელმწიფო შესყიდვებსა და მშენებლობა-რეაბილიტაციაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ბათუმში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით დაინტერესდა. აუდიტის დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში, 2020-2021 წლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობას ეხება. რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტის შედეგად, უამრავი დარღვევები გამოიკვეთა, რომლებსაც „ვერსიაში“ განვიხილავთ.

ხარვეზები ფინანსური რესურსების მართვაში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით, მუნიციპალური პროგრამის – „მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში, 2020-2021 წლებში დაზუსტებულმა გეგმამ 201 042 007 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 171 205 094 ლარი შეადგინა.

„2020-2021 წლებში, გეგმით გათვალისწინებული აუთვისებელი თანხების დინამიკა ზრდადია და ეს გარემოება ძირითადად გამოწვეულია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულებისთვის განხორციელებული შესყიდვის პროცედურების არასათანადო წარმართვით, ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების შემცირების ხარჯზე წარმოშობილი ეკონომიით. მათ შორის, „საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა“ – 14 267 624 ლარი; „სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა“ – 3 704 631 ლარი; „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ – 1 834 203 ლარი; „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ – 1 243 620 ლარი და სხვა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

ამასთან, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტს გააჩნდა შეჩერებული და შეწყვეტილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში არ განხორციელებულა და მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები.

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“, სუბსიდიის სახით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 17 847 376 ლარი მიიღო. არადა, შპს-ს, საკუთარი შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აუთვისებელი ნაშთი, ჯამში – 4 951 845 ლარი გააჩნდა. ეს გარემოება მიუთითებს, რომ სათანადო ანალიზის გარეშე განისაზღვრა გასაცემი სუბსიდიის მოცულობა.

„შპს-ის საკუთარი შემოსავლების ზრდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით დასაფინანსებელი თანხების შემცირების ერთ-ერთი საფუძველია. აუდიტორული პროცედურებით ირკვევა, რომ აუდიტის პერიოდში, შპს-ს, მის საკუთრებაში არსებული მუნიციპალური ავტობუსების გარე ფასადი – 5 154.3 კვ.მ. ფართი, ელექტრონული აუქციონით, რეკლამის განთავსების უფლების მიღებისათვის, 2020 წელს გაცემული აქვს 30 წლის ვადით და ერთჯერადი გადახდით მიღებული აქვს 4 100 000 ლარი. შედეგად, მთლიანი სარეკლამო ფართის ოცდაათწლიანი ვადით უფლების გადაცემით მაშინ, როდესაც ასეთ გრძელვადიან პერიოდში რადიკალურად იცვლება საბაზრო პირობები, შესაძლოა, შპს-მ დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა დაკარგოს, ამასთან, ვერ იქნეს უზრუნველყოფილი პროცესისადმი მოცემულ ბაზარზე ოპერირებადი სხვა სუბიექტების დაინტერესების ზრდა“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2020-2021 წლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტს აუთვისებელი დარჩა ჯამური ბიუჯეტის 14.8%, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ამასთან, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ 30-წლიანი ვადით და სარეკლამო სივრცის სრულ მოცულობაზე უფლების გადაცემა წარმოშობს რისკს, რომ გრძელვადიან პერიოდში დაიკარგოს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

ხარვეზები მშენებლობა-რეაბილიტაციაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე, შემსყიდველის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით, შესრულებულად ნაჩვენებია და მიმწოდებელს აუნაზღაურდა 54 989 500 ლარი, მათ შორის, ფარული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 24 653 999 ლარს.

„მიღება-ჩაბარების ეტაპზე წარდგენილი ექსპერტის დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ინსპექტირების წინაშე სრულყოფილად არ იქნა დასმული სატე-

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა ბათუმში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში

მე-7 გვერდიდან

ნდერო წინადადებით და ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული შეკითხვა ინსპექტირების სფეროსთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ ექსპერტს დაედასტურებინა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, დასმულია მხოლოდ ერთი შეკითხვა – შესრულებული სამუშაოების ფორმა N2-ის ინსპექტირებასთან მიმართებით. ინსპექტირების ანგარიშების საფუძველზე გადახდილია შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თუმცა წარდგენილი ანგარიშებით არ დასტურდება შესრულებაში მითითებული ფარული სამუშაოების მოცულობა და ფარულ სამუშაოებზე გამოყენებული მასალების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა, კერძოდ, გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს".

ანგარიშების მიხედვით, ექსპერტის მიერ აზომვები ჩატარდა მხოლოდ ხილულ სამუშაოებზე, ხოლო ის სამუშაოები, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა ზუსტი მოცულობების დადგენა ინსპექტირების ჩატარების პერიოდისთვის ტექნიკურად შეუძლებელი იყო, ექსპერტმა გაითვალისწინა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით, თუმცა რიგ შემთხვევებში, ფარული სამუშაოს აქტების რიგითი ნომერი და სამუშაოს შესრულების აქტის შედგენის თარიღი ურთიერთშეუსაბამოა. ამასთან, ერთი დღის შესრულებაში ნაჩვენებია ისეთი დიდი მოცულობის სამუშაოები, რომლის ფაქტობრივად შესრულება მაღალი რისკის შემცველია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის სისტემის შედეგად, რიგ შემთხვევებში, ვერ გამოვლინდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე არსებული ხარვეზები, ასევე, ექსპერტიზის დასკვნაში ასახული კვლევის შედეგების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის შეფასება და აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად განხორციელება.

ხარვეზები საპროექტო დოკუმენტაციაში

სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს საპროექტო დოკუმენტაციაშიც. კერძოდ, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის მერიის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 84 676 973 ლარით. შესყიდვის პროცედურები განხორციელდა 77 შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებზე.

„ხელშეკრულებით შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება შემცირდა 11 092 234 ლარით და შეადგინა 73 584 739 ლარი, ხოლო ხელშეკრულებებში სისტემატურად განხორციელებული ცვლილებებითა და საბოლოოდ, ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით, რეალური ფასი კვლავ შემცირდა 5 202 345 ლარით, რამაც შეადგინა 68 382 394 ლარი. ჯამში, პროექტებით განსაზღვრულ ფასსა და ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ფასს შორის სხვაობამ, არანაკლებ, 294 579 ლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, შემსყიდველს შესაბამისი აქტივობა არ განუხორციელებია და პროექტის ავტორებზე გადახდილია სრული სახელშეკრულებო ღირებულება, არანაკლებ, 265 401 ლარი".

სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, რომ შესასრულებელი სამუშაოების ფასების შემცირება, ძირითადად, საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზით შედგენამ განაპირობა. არასრულყოფილად შედგენილი პროექტების გამო, სისტემატურად იცვლებოდა ხელშეკრულებათა პირობები, დადგენილ დროში ვერ დასრულდა სამუშაოები და არსებული სამუშაოების შემცირების ხარჯზე დაემატა სხვა ახალი სამუშაოები.

„ქალაქ ბათუმში, სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება, შესყიდულია საპროექტო დოკუმენტაცია და გადახდილია ჯამში, 16 271 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროექტის საფუძველზე განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვა და გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გზები", რომელთანაც 1 688 496 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე გაფორმდა ხელშეკრულება. ამავე დროს, სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, ხელშეკრულებაში ცვლილება სხვადასხვა მოტივით, ხუთჯერ განხორციელდა. კერძოდ, შეიცვალა მილების სახეობა და პარამეტრები, შემცირებულია სანიაღვრე არხის, სანიაღვრე ჭების და გადახურვის ფილების მოცულობები. აღნიშნული ხარვეზების მიხედვით, შემცირებულია პროექტით გათვალისწინებული ცალკეული სამუშაოს დასახელება და ღირებულება ჯამში, 471 640 ლარს შეადგენს, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი სამუშაოების 22%-ია. ანალოგიური ხარვეზებია დაშვებული ქალაქ ბათუმში, ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას".

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ქუჩების კეთილმოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3 045 510 ლარს, სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე, ხელშეკრულებაში ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება, საბოლოო ფასი განისაზღვრა 2 143 575 ლარით. დოკუმენტაციით დადგინდა, რომ პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები შეუსაბამო აღმოჩნდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოცულობებთან. შედეგად, შეიცვალა მიწის ვაკისის, საგზაო სამოსის, ხელოვნური ნაგებობების, მიწისქვეშა კომუნიკაციების სამუშაოების მოცულობები და პარამეტრები. ამასთან, ქალაქ ბათუმში, ცენტრალური პარკის გარე განათების მოწყობის სამუშაოების ხელშეკრულება ითვალისწინებდა 775 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებას, თუმცა პროექტში არსებული ხარვეზების გამო, სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული 638 273 ლარის სამუშაოები ფაქტობრივად არ შესრულებულა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისთვის, 77 შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ პროექტის მიმწოდებელზე ბიუჯეტიდან გადახდილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული 265 401 ლარი, თუმცა მიღებულია ხარვეზებით შედგენილი პროექტები და რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადგენილ ვადებში ვერ იქნა განხორციელებული.

შესყიდვა – არაერთგვაროვანი მიდგომით

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ქალაქ ბათუმში, ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოების შესრულებისათვის, კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ, 2020 წელს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. ორი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია. მათ შორის, პირველი – არასაკმარისი გამოცდილების მოტივით, მეორე – პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციით წარდგენილი ფასი შეადგენდა 533 721 ლარს, სატენდერო წინადადების ფასი – 530 000 ლარს.

„შემსყიდველის მიერ, პრეტენდენტს ეთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, თუმცა არ დააზუსტა და მიეცა დისკვალიფიკაცია. რაც შეეხება მესამე პრეტენდენტს, მის მიერ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული დეტალური ხარჯთაღრიცხვების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება შეადგენს 547 000 ლარს, ნაერთი ფასების ცხრილის მიხედვით წარმოდგენილია 545 000 ლარი და შეთავაზებული ფასიც შეადგენს 545 000 ლარს. თუმცა, გაირკვა, რომ სატენდერო კომისიას არ უმსჯელია დეტალური ხარჯთაღრიცხვის, ნაერთი ფასების ცხრილისა და შეთავაზების ფასს შორის შეუსაბამობაზე და პრეტენდენტი დაზუსტების მოთხოვნის გარეშე გამოცხადებულია გამარჯვებულად".

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქალაქ ბათუმში, ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟისა და ახალი ელექტრონული ლიფტების მონტაჟის სამუშაოების შესყიდვის პროცესში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენა, არაერთგვაროვანი მიდგომით განხორციელდა.

სამართალი

№44 22 ნოემბერი 2023 წ

„სხოდკა“ – როგორ გადაურჩა „კანონიერი ქურდი“ „ჭია“ დაჭერას

ქართველი კრიმინალების წინააღმდეგ ესპანეთში ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის უცნობი დეტალები



ბათო ჯაფარიძე

შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირა ქართველი და ესპანელი სამართალდამცავებისთვის ერთნაირად დატვირთული იყო. როგორც ჩვენთან, ისე ესპანეთში, „შავ სამყაროსთან“ დაკავშირებული პირები დააკავეს და როგორც აქ, ისე იქაც სპეცოპერაცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქში ჩატარდა. ოპერატიული მასალა გაავრცელა, როგორც ქართულმა მხარემ, ისე – ესპანურმა, მაგრამ, როგორც ვიგებთ, ესპანეთში, სპეცოპერაცია რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა. რაც მთავარია, მასში 350-ზე მეტი სპეცაგენტი იყო ჩართული, რომელთაგან რამდენიმე ათეული, უშუალოდ, ქართულ ბანდებთან იყო კოორდინაციაში და მათ, როგორც ადგილობრივი კრიმინალები, ისე ეცნობოდნენ.

საქართველოსგან განსხვავებით, ესპანეთში ერთი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს – ლევან დადეშქელიანს ბრალი თუ დაუმტკიცეს, ხანგრძლივი პატიმრობა ელის. როგორც იქაური მედია ამბობს, სწორედ დადეშქელიანი ითვლება მთავარ ვიოლინოდ ამ სპეცოპერაციაში და ესპანური პრესა არც იმას მალავს, რომ დადეშქელიანი ტარიელ ონიანის უახლოესი გარემოცვის წევრად ითვლება. მეტიც, დაკავებული 31 პირიდან აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ „ქუთაისურ კლანს“ ეკუთვნის.

სპეცოპერაცია, კოდური სახელწოდებით – „სხოდკა“, ერთდროულად რამდენიმე ქალაქში ჩატარდა და როგორც ესპანეთში მცხოვრები ქართველები გვიყვებიან, ამას არავინ ელოდა. არ ელოდა იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, ესპანური პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანი მოსყიდული იყო და ნაძარცვიდან თუ ნაქურდალიდან მათთან სერიოზული წილი მიდიოდა, მაგრამ ისე ჩანს, თავად ესპანელმა სამართალდამცავებმა ის მაღალჩინოსნები საქმის კურსში არ ჩააყენეს და სპეცოპერაცია მათთვისაც მოულოდნელი გახლდათ.

და მაინც, რას აკეთებდნენ კონკრეტული დაჯგუფებები და როგორ ხდებოდა მოპარული თანხებისა თუ ძვირფასეულობის „გათეთრება“?

როგორც გვიყვებიან, დაჯგუფების ძირითადი საქმიანობა ესპანეთის დიდ ქალაქებში ბინების ქურდობა იყო. რამდენიმე გამოცდილი „მედვეჟატნიკი“ ნებისმიერი სირთულის საკეტს მარტივად ხსნიდა, მერე კი „მტვირთავები“ მუშაობდნენ, რომლებსაც სახლიდან გაჰქონდათ აბსოლუტურად ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. ელექტროტექნიკა ადგილობრივ შავ ბაზარზე იყიდებოდა, რომელსაც ალბანელები და რუმინელები აკონტროლებენ, ფულს აბა, რა გათეთრება სჭირდებოდა, ხოლო ოქროული, ძირითადად, საქართველოში იგზავნებოდა. რამდენიმე გადამზიდავმა კომპანიამ უარი განაცხადა ოქროულისა და მოპარული ნივთების გაგზავნაზე და სწორედ ამის გამო, დაჯგუფებამ საკუთარი გადამზიდი კომპანია დააარსა და ნაქურდალი საქართველოში ამ გზით ხვდებოდა. ცნობისთვის, ესპანელმა სამართალდამცავებმა გადამზიდი კომპანიაც დალუქეს, მისი მფლობელები დააკავეს და გასაგზავნად გამზადებული ამანათები ამოიღეს. რაოდენ საოცარი ციფრიც უნდა იყოს, საქმე ეხება, დაახლოებით, 750 ბინის ქურდობას, რომელთა უმრავლესობა ბარსელონაში, მარბელასა და ვალენსიაში მდებარეობს.

„აღარც კი გვახსოვს, ბოლოს როდის ჩატარდა სპეცოპერაცია და ამიტომ, ყველა მშვიდად იყო. მეტიც, გვარწმუნებდნენ, რომ მაღალჩინოსან პოლიციელებზე გავიდნენ, რომ ისინი მოქრთამეს და თუ სპეცოპერაცია დაიგეგმებოდა, ინფორმაციას რამდენიმე დღით ადრე გაიგებდნენ და ყველა სხვა ქვეყანაში მოახერხებდა გამგზავრებას, ის სხვა ქვეყანა კი საფრანგეთი იყო. რეალობა კი სხვაგვარი აღმოჩნდა, სპეცოპერაცია იმ დონეზე ჩატარდა, რომ ბიჭებმა ერთმანეთთან დარეკვაც კი ვერ მოასწრეს, ყველა ლოკაციაზე ერთდროულად შევიდნენ და პირველ რიგში, ტელეფონები ამოიღეს“, – გვეუბნება ესპანეთში მცხოვრები ქართველი.

ერთადერთი, ვინც სამართალდამცავების სიაში მეორე ნომრად ეწერა და გაქცევა მოახერხა, „კანონიერი ქურდი“ ლაშა ბარათელი (მეტსახელად, „ჭია“) გახლავთ. მას უბრალოდ ბედმა გაუღიმა, რადგან სწორედ სპეცოპერაციის დაწყების წინ, სახლიდან რაღაცის საყიდლად გავიდა, მაღაზიაში შემთხვევით ნაცნობს შეხვდა, მასთან საუბარი გააბა და სწორედ მაღაზიიდან დაინახა, როგორ გაჩერდა მის საცხოვრებელ სახლთან სპეცდანიშნულების რაზმის მანქანა, როგორ გადმოვიდნენ იქიდან ნიღბიანი და იარაღიანი სპეცრაზმელები, როგორ შემოარტყეს სახლს ალყა და როგორ დაიწყო იმ კაცის აყვანის სპეცოპერაცია, რომელიც ყველაფერ ამას გზის მეორე მხრიდან, მაღაზიის ვიტრინიდან უყურებდა. ბარათელზე ძებნაა გამოცხადებული და მას ესპანეთის დატოვება გაუჭირდება. ასევე, ის ვერ მივა იმ მისამართებზე, სადაც მისი მეგობრები ცხოვრობენ, რადგან ყველა სახლი დაკვირვების ქვეშ არის.

ნაკლებად გაუმართლა ლევან დადეშქელიანს, რომელსაც სამართალდამცავებმა სახლში, მძინარეს წაასწრეს და დააკავეს. ერთადერთი, რაც დადეშქელიანის სასარგებლოდ მეტყველებს, ის გახლავთ, რომ მის სახლში ვერ იპოვეს იარაღი, ვერ იპოვეს ვერცერთი ნივთი, რომლის წარმომავლობასაც ვერ დაასაბუთებდა და მას არ ჰქონდა დიდი ოდენობით ფულადი თანხა ანუ ის ამ მიმართულებით სუფთაა, მაგრამ როგორც ესპანელი სამართალდამცავები ამბობენ, მათ აქვთ რამდენიმე ათეული აუდიოჩანაწერი, რომელშიც ისმის, რომ ბინის ქურდები ანგარიშს სწორედ მას აბარებდნენ და სწორედ ის წყვეტდა, თანხა სად და როგორ წასულიყო, რა უნდა გაგზავნილიყო საქართველოში, რა გაყიდულიყო შავ ბაზარზე, ადგილზე და თუ ეს ჩანაწერები, მართლაც, არსებობს, დადეშქელიანს გრძელვადიანი პატიმრობა არ ასცდება. სხვა საკითხია, რამდენად დაადასტურებს ადგილობრივი პოლიცია, რომ ხმა სწორედ ქართველ „კანონიერ ქურდს“ ეკუთვნის, რადგან, როგორც წესი, ყველაზე რთული, სწორედ ხმის იდენტიფიცირებაა.

რაც შეეხება ლაშა ბარათელს, ის როგორც ესპანეთში, ისე საქართველოში, არანაკლები გავლენით სარგებლობს, თუმცა ისიც ვაღიაროთ, რომ მას ხშირად უმართლებს და არაერთხელ ყოფილა, რომ „უეჭველი სროკიდან“ გამომძვრალა და გადარჩენილა. ახლაც, თუ მოახერხებს, ყველაზე ცოტა, ორი თვის განმავლობაში ისე დაიმალოს, რომ მისი ადგილსამყოფელი ვერ იპოვონ, შემდეგ უკვე, ქვეყნიდან გასვლასაც შეძლებს. სავარაუდოდ, ეს ახალი წლისთვის მოხდება, რადგან ამ დროს, სამართალდამცავები უფრო მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებზე არიან გადართულნი და ქართველი კრიმინალებისთვის ნაკლებად სცხელათ.

მართალია, ასეთი მასშტაბური არ ყოფილა, მაგრამ ყირგიზეთის პოლიციამ, ბიშკეკში, 1990 წელს დაბადებული ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტი“ დაიკავა. როგორც იქაური მედია წერს, პოლიციაში შეტყობინება შევიდა, რომლის მიხედვითაც, ერთ-ერთ კორპუსში უცხო ქვეყნის მოქალაქე ცხოვრობდა, რომელსაც მეზობლებმა ცეცხლსასროლი იარაღი დაუნახეს. სპეცოპერაცია, რომელშიც ათამდე სამართალდამცავი მონაწილეობდა, მალევე ჩატარდა და საქართველოს მოქალაქეს „ტე-ტე“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, 19 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰაშიშიც“ უნახეს. იმავე ყირგიზული მედიის ცნობით, დაკავებული, „კანონიერი ქურდის“ ზაზა ელიკაშვილის ნათესავია და საქართველოში ერთ-ერთი ქალაქის „მაყურებლად“ ითვლებოდა.

ცნობისთვის, 2018 წელს, ელიკაშვილი, საფრანგეთის პოლიციამ კახა შუშანაშვილთან და გიორგი ელარჯიასთან ერთად დააკავა და სამივე მათგანს 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლო დროს, საქართველოში „მაყურებლების“ და „კაი ბიჭების“ თემა ძალიან გააქტიურდა და იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცავი ორგანოები არცთუ იშვიათად, სპეცოპერაციებს ატარებენ და ათეულობით პირს აკავებენ, პრობლემა არ გვარდება. ის, რომ განსაკუთრებით რეგიონებში „კაი ბიჭები“ მცირე ბიზნესმენებს აწუხებენ და „ობშჩიაკისთვის“ ფულის გადახდას სთხოვენ, ახალი ამბავი არაა და რაც მთავარია, ამაზე ბევრი ხმამაღლა საუბრობს. მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ქართველ ძალოვნებს შესაძლებლობა არ აქვთ, მთავარი ორგანიზატორები დააპატიმრონ და „კანონიერ ქურდებს“ პატიმრობას დაუსწრებლად უფარდებენ. საქმეს ისიც ართულებს, რომ ბევრ ქვეყანაში „კანონიერი ქურდობა“ დასჯადი არ არის და ამ მუხლით კონკრეტული პირების ექსტრადაციაზე, ევროპის მთელი რიგი ქვეყნები უარს აცხადებენ.

„ძალიან ბევრი მცირე მეწარმე ვერ ბედავს და მის მიმართ განხორციელებული ტერორის შემდეგ, სამართალდამცავ ორგანოებთან ვერ მიდის, განცხადებას ვერ წერს, რადგან ეშინია და ჰგონია, რომ თუ ძალოვნები ერთ ან ორ პიროვნებას დააკავებენ, თავისუფლებაზე სხვები დარჩებიან და ანგარიშსწორებასას სწორედ ისინი შეეცდებიან. არადა, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ განცხადება რეაგირების გარეშე დაგვეტოვებინოს და არ დაგვეკავებინოს არა ერთი და ორი პირი, არამედ, მთელი დაჯგუფება. შესაძლოა, თავისუფლებაზე ვიღაც რჩება, მაგრამ მან ზუსტად იცის, რომ მისი მხრიდან რამე სახის ქმედებას ჩვენი რეაგირება მოჰყვება და ისიც გისოსებს მიღმა აღმოჩნდება, ციხეში ყოფნა კი არავის სურს“, – გვეუბნება პოლიციის თანამშრომელი, რომელიც გვიდასტურებს, რომ „კანონიერი ქურდების“ შეგულიანებით, რეგიონებში „კაი ბიჭების“ პრობლემა მართლაც დგას.

ისე, ურიგო არ იქნება, თუ პარლამენტი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებს შეიტანს და იმ არასრულწლოვნების მიმართ გაამკაცრებს სასჯეს, რომლებიც მაღაზიების ქურდობით არიან დაკავებული და არც მცირე მეწარმეების „დატერორებაზე“ ამბობენ უარს. მათი დასჯით ძალიან ბევრი პრობლემა მოიხსნება და ძალოვნებსაც მეტი შესაძლებლობა ექნებათ, ოპერატიული ღონისძიებები უფრო მასშტაბურად გაატარონ თუ ჩაატარონ.

კაპიტნის მკვლელობა

ვინ და რატომ გამოასალმა სიცოცხლეს ახალგაზრდა სამართალდამცავი

ბათო ჯაფარიძე

სამართალდამცავის მკვლელობა ადრეც ბევრად მძიმე დანაშაულად ფასდებოდა და ახლაც ასეა. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია, მაგრამ როცა ძალოვანი უწყების თანამშრომელს კლავენ, მაშინ მთელი შსს ფეხზე დგას და ყველაფერს აკეთებს, რომ საქმე, რაც შეიძლება, მალე გაიხსნას და თან ეს არ არის უბრალოდ საქმე – ეს ღირსებასა და მუნდირს ეხება. ასე იყო მაშინაც, როცა 1978 წლის ზაფხულის ცხელ დღეს, შებინდებისას, შინიდან გასული მილიციის კაპიტანი მოკლეს. შეიძლება ითქვას, კი არ მოკლეს, სადარბაზოსთან დაკლეს, რადგან მას დანა ექვსჯერ ჰქონდა დარტყმული, ბოლოს კი ყელის არეში გამოსმული. სავარაუდოდ, მას მკვლელი უკნიდან მიეპარა და მოულოდნელობის ეფექტით ისარგებლა – საკმაოდ ჯანიან თანამშრომელს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

„კაპიტნის წოდებისთვის ძალიან ახალგაზრდა მგონია, მაგრამ ასე თქვეს, კაპიტანიო და... მოკლედ, პირველივე ჭრილობა იმდენად ძლიერი იყო, რომ სიკვდილი მაშინვე დადგა, დანარჩენი ჭრილობები ამაო იყო, მაგრამ მკვლელმა სავარაუდოდ არ იცოდა და ამიტომ, ყელშიც გამოუსვა დანა. არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – გარდაცვლილის პერანგზე იყო სისხლის მცირე ლაქები, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. მქონდა ვერსია, რომ დანის დარტყმის დროს, თავდამსხმელს ხელი გაეჭრა, მაგრამ ლაქებს შემხმარი სისხლიც ახლდა თან. მოკლედ, მკვლელს საჩვენებელი თითის სახსართან ჰქონდა ჭრილობა და ეს ჭრილობა, 2-3 დღის წინ მიიღო, დანის დარტყმის დროს კი, უბრალოდ, გაეხსნა“, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი ვარაუდი, რომ მოკლული კაპიტნობისთვის ძალიან ახალგაზრდა იყო, რელობას მოწყვეტილი სულაც არ გახლდათ. გულად თანამშრომელს ჩინი ვადაზე ადრე მას შემდეგ მიანიჭეს, რაც მან საშიში ძებნილი, პრაქტიკულად, შიშველი ხელებით აიყვანა და განყოფილებაშიც მარტომ მიიყვანა. რაც მთავარია, მან ძებნილი ფოტოთი იცნო ანუ ყურადღებიანი გახლდათ, ნამდვილი მაძებარი და არ შეუშინდა შეიარაღებულ ბოროტმოქმედს, რომელიც თავში რძის ბოთლის ჩარტყმის შემდეგ გათიშა.

„იმ ბანდის წევრები თავისუფლებაზე არიან. როცა მათი მეთაური დავაკავეთ, ბოლო ხმაზე ყვიროდა, ჩემი დამკავებლის სისხლს დავლევო და როგორც ჩანს, მუქარა მისმა ამფსონებმა შეასრულეს. ფეხზე დადგეს ყველა განყოფილება, აამუშავეთ აგენტურული ქსელი და ბანდის წევრები 24 საათში ჩემს წინ ისხდნენ“, – საგანგებოდ გამართულ თათბირზე მინისტრის მოადგილე ბრაზს ვერ იკავებდა.

მინისტრის მოადგილის შეგულიანება ძალოვნებს აშკარად არ სჭირდებოდათ, ისინი კარგად ხვდებოდნენ, რომ ეს მათი ღირსების საქმე იყო და არა მარტო ღირსების – თუ დამნაშავეს ვერ და არ დასჯიდნენ, მათზეც ნადირობის სეზონი გაიხსნებოდა და კრიმინალები იფიქრებდნენ, რომ ყველაფერი შერჩებოდათ. ამიტომ, ძალოვნები 24 საათი გარეთ იყვნენ და ეძებდნენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც საქმეს წინ წასწევდა. რაც მთავარია, მათ არ იცოდნენ, სად იყვნენ ბანდის დანარჩენი წევრები და წესით, სწორედ მათი დაკავების შემდეგ უნდა გახსნილიყო საქმე. აგენტურული ქსელი ირწმუნებოდა, მას შემდეგ, რაც კაპიტანი მოკლეს, ისინი უბრალოდ გაქრნენ, არავის უნახავსო. ცხადი იყო, ბანდის წევრები სამართალდამცავებს გაერიდნენ, დაემალნენ, თუმცა ორ დღეში, მცხეთის ერთ-ერთი სოფლის უბნის რწმუნებულმა სამინისტროში დარეკა, ვისაც ეძებთ, ჩემს სოფელში არიან, ერთ-ერთ სახლს აფარებენ თავს და როგორც ჩანს, საკვები მოიმარაგეს, გარეთ საერთოდ არ გამოდიან, მხოლოდ ღამით გამოდის ერთი და ტაშტით, სავარაუდოდ, შარდი და განავალი გამოაქვს, ჩეჩმა გარეთ არის, სახლში – არა და ალბათ იქ ისაქმებენო. სპეცოპერაცია მალე დაიგეგმა და ერთ საათში, სახლი ალყაში იყო. ბანდის წევრებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა კი გასწიეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი დაჭრეს და იმის პირობაც მიიღეს, რომ დანებების შემთხვევაში არ დახოცავდნენ, ისე კი გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ, იარაღი ფანჯრიდან გადმოყარეს.

„ჩვენ თქვენი კაპიტანი არ მოგვიკლავს. ალიბი არ გვაქვს, ერთად ვიყავით ერთ-ერთ ბინაში, როცა ყველაფერი გავიგეთ და მივხვდით, რომ პირველ რიგში, ჩვენზე იფიქრებდით. ამიტომ, დედაქალაქს გავეცალეთ, მაგრამ გეუბნებით, ჩვენ არ მოგვიკლავს. არ ვართ იმ დონის იდიოტები, რომ ეს გავაკეთოთ, მოვკლათ კაპიტანი და მერე მთელი ცხოვრება, ნებისმიერი მილიციელის ცოცხალი სამიზნე გავხდეთ. ხომ ზუსტად ვიცით, რომ თანამშრომლის მკვლელობის შემდეგ, მკვლელი „შემთხვევით“ აყვანის ოპერაციის დროს, ან ციხეში გადაყვანის დროს, „გაქცევის მცდელობისას“ იღუპება, მას, უბრალოდ, კლავენ. ახლა, როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, თუ გნებავთ, გაგვასამართლეთ მისი მკვლელობისთვის, მაგრამ ჩვენ ამ საქმეში სუფთები ვართ და ჩვენი გასამართლება თქვენი მუნდირიდან ლაქას ვერ ჩამორეცხს“, – ამბობდნენ დაკავებულები. თანაც, არცერთი დაკავებულის სისხლის ჯგუფი არ დაემთხვა მოკლულზე აღმოჩენილ სისხლს და არც ხელი ჰქონდა დაზიანებული რომელიმე ბანდიტს.

დაკითხვის შედეგები მინისტრის მოადგილეს მოახსენეს, რომელსაც გამოძიება პირად კონტროლზე ჰყავდა აყვანილი და მან მოკლედ მოჭრა – „განაგრძეთ ძებნა!“ სამწუხაროდ, მეტი ვერსია გამოძიებას არ ჰქონდა და ამიტომ, ისინი კვლავ აგენტურულ ქსელს დაერივნენ. გარდაცვლილი კაპიტანი სამხედრო პატივით დაკრძალეს, მერე კი, მისი მეუღლე, რომელიც მანამდე ზედაპირულად დაჰკითხეს, ოფიციალურ გამოკითხვაზე დაიბარეს.

„მუქარები იყო, მუდმივად იყო. მას შემდეგ, რაც ის ბანდის მეთაური დაიჭირა, ჩვენს სახლში ტელეფონი არ გაჩერებულა, მოკვლით ემურებოდნენ. რეალურად, შვებულებაც იმიტომ მისცეს, ქალაქს გავერიდეთ და ტაბელური იარაღი იქაც გაატანეს, ყოველი შემთხვევისთვის. იმ დღეს დავბრუნდით შვებულებიდან, მითხრა, რამე საჭმელს ამოვიტანო და მაღაზიაში ჩავიდა, მერე კი, მეზობლების კივილის ხმა გავიგე, აივნიდან გადავიხედე და ყველაფერს მივხვდი“, – განაცხადა ქალმა.

აგენტურული ქსელიდან სიახლე არაფერი ისმოდა. გადახედეს გარდაცვლილის ძველ საქმეებს, მაგრამ ერთიც არ იყო ისეთი, რომ კაპიტანი მოსაკლავად გაემეტებინათ. სამსახურში ის ძალიან დადებითად ხასიათდებოდა, როგორც თანამშრომლები ამბობდნენ, საერთოდ არ სვამდა, არ ეწეოდა, ვარჯიშობდა და კარიერაში რაც შეიძლება, წინ წაწევა სურდა, ოღონდ არა ვინმეზე გადაბიჯებით, არამედ, დამსახურებით და ამისთვის, დღესა და ღამეს ასწორებდა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, გამომძიებელი კვლავ კაპიტნის ქვრივთან მივიდა სახლში, ეგებ, რამე ისეთი გაიხსენეთ, რასაც მანამდე მნიშვნელობა არ მიანიჭეთო. ქალი გამომძიებელს ხილით გაუმასპინძდა და როცა მაცივარი გააღო, კარში სტუმარმა კონიაკის ნახევრად დაცლილი ბოთლი შენიშნა. ქალმა მზერა დაიჭირა და მშვიდად თქვა, ჩემს ქმარს უყვარდა ვახშმად ერთი ჭიქა კონიაკი და მისგან დარჩა, ხელსაც ვერ ვკიდებ, ისე ვნერვიულობო. არადა, კოლეგები ამტკიცებდნენ, წვეთს ვერ დაალევინებდი, გამორიცხული იყო, ღვინოს გაკარებოდა, არაყსა და კონიაკს კიდევ დასანახადაც ვერ იტანდაო. გამოდიოდა, რაღაცას სწორედ დიასახლისი მალავდა, მაგრამ რას? მისი ბინიდან წამოსულმა გამომძიებელმა უბნის რწმუნებული დაიბარა და კატეგორიულად გააფრთხილა, კაპიტნის ბინისა და ქვრივისთვის 24-საათიანი თვალთვალი დაეწესებინა.

„ობიექტი შინიდან იშვიათად გამოდის, მაგრამ სამი დღის განმავლობაში, მასთამ ორჯერ იყო სტუმრად გვერდით სადარბაზოში მცხოვრები ახლგაზრდა მამაკაცი. ორივე შემთხვევაში, ის სტუმრად ხილით, ან სხვა ტკბილეულით დატვირთული მიდიოდა და ცელოფანში კონიაკის ბოთლიც ედო. მეზობლების გამოკითხვის შედეგად, რამე საეჭვო გარემოება არ გამოვლენილა, მათ წყვილის ურთიერთობის შესახებ, არაფერი იციან“, – სამდღიანი თვალთვალის შემდეგ, გამომძიებელს უბნის რწმუნებულისგან შემდეგი სახის პატაკი მაგიდაზე ედო.

გამომძიებელმა, ყოველი შემთხვევისთვის, მამაკაცის ვინაობა და ის დაადგინა, თუ რომელ პოლიკლინიკაში იყო აღრიცხვაზე და სისხლის ჯგუფი გადაამოწმა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოკლულის პერანგზე სწორედ მეზობლის სისხლის კვალი იყო. ეს კი მის დასაკავებლად საკმარისი საბაბი გახლდათ. ახლა, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, როგორი დაკითხვის შემდეგ მისცა დაკავებულმა აღიარებითი ჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ მისცა.

„ეს ქალი ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის სიყვარულია. მერე ჯარში წავედი, სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ, საქართველოში დაბრუნება დამიგვიანდა, რუსეთში ჩავრჩი და როცა დავბრუნდი, შეყვარებულის კვალი ველარ ვიპოვე. მერე ახალ ბინაში გადავედი და სრულიად შემთხვევით, ეზოში შევხვდი. მითხრა, გავთხოვდი, ქმარი მილიციის თანამშრომელიაო. ისიც არ იყო ჩემს მიმართ გულგრილი და შეხვედრები დავიწყეთ, როცა ქმარი ღამის ცვლაში იყო, მაშინ ავდიოდი, მაგრამ ასე აღარ შემეძლო. მინდოდა, ეს ქალი მარტო ჩემი ყოფილიყო და როცა მუქარების შესახებ გავიგე, მივხვდი, ეს ჩემი შანსი გახლდათ. სანამ შვებულებაში იყვნენ, ყველაფერი დავგეგმე და განვახორციელე. ვხვდებოდი, შვებულებიდან დაბრუნებულებს მაღაზიაში რამე ენდომებოდათ და სადარბაზოსთან ვყარაულობდი. როცა მაღაზიაში წავიდა, მომესალმა, არაფერი იეჭვა, უკან დაბრუნებულს კი მივეპარე და რამდენჯერაც შემეძლო, დანა დავრტყი. მანამდე, სახლში, დანას რომ ვლესავდი, ხელი გავიჭერი და სავარაუდოდ ჭრილობა გამეხსნა“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ის ციხეში ლოგინიდან „გადმოვარდა“, ცუდად დაეცა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ ეტლში გაატარა დარჩენილი ცხოვრება.

ბათო ჯაფარიძე

არავინ იცის, რას გვიმზადებს ცხოვრება და ვის რა ელოდება. ხანდახან ისეთი ამბავი შეიძლება გაიგო, რომ თავი ჰიჩკოკის ფილმის მთავარი გმირი გეგონოს, ხანდახან კი ცხოვრება მოსაწყენი კლასიკა, ან დრამაა. ისე, ჩვენს ცხოვრებას, როგორც სატირას, ისე თუ შევხედავთ, ურიგო არ იქნება, რადგან ყველაფერი, რაც ხდება, ერთი შეხედვით, რთული და ჩახლართულია, სინამდვილეში კი უმარტივესი და თითქოს ჩვენ, თავად ვართულებთ.

რატომ გაიტაცა ძმამ ღვიძლი და

უცნაური ოჯახური კრიმინალური დრამა

მილიციის განყოფილებაში ცოლ-ქმარი მივიდა და განცხადება დაწერა, რომ მათი 8 წლის გოგონა დაიკარგა. ის ეზოდან გაქრა და სავარუდოდ, ვიღაცამ გაიტაცა, რადგან ქმარი შეძლებული იყო.

„მე პირველი ცოლისგან გერი დამრჩა, 22 წლის ბიჭი, მეორე ცოლი მოგვიანებით მოვიყვანე და გოგონა გვეყოლა. ჰოდა, ახლა ეს გოგონა დაიკარგა და არ ვიცი, რა გავაკეთო. ჩემს გერს გავატანეთ ეზოში, მაგრამ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი უქნარაა, ან ჩაეძინა სკამზე, ან რამეთი გაერთო და გოგონა ცხვირწინ ააცალეს“, -ამბობდა მამაკაცი. ქალი კი ბოლო ხმაზე მოთქვამდა და ამბობდა, შვილი მიპოვეთო.

სამართალდამცავებმა, პირველ რიგში, გერი დაკითხეს და დარწმუნდნენ, რომ მამა მართალი იყო.

„ეზოში რომ ჩავედით, ცოტა ხანში, დამავიწყდა, რომ დაც თან მახლდა და ამიტომ, ეზოდან მაღაზიაში გავედი, იქ მეგობარი ვნახე, ცოტახანს ვისაუბრეთ, მერე „გარაჟებისკენ“ გავისეირნე, სიგარეტი მოვწიე, ეზოში რომ დავბრუნდი, და არც გამხსენებია, სახლში ავედი და როცა მკითხეს, ბავშვი რა უყავიო, მაშინ გამახსენდა“, – განაცხადა მან და შეუძლებელი იყო, ასე ეთამაშა, ის მართლაც, დაბნეული თუ არეული გახლდათ.

იმ დროს ეზოში არავინ იყო, მხოლოდ ერთი, 9 წლის ბიჭი თამაშობდა სილაში და როგორც მან თქვა, დაინახა, ვიღაც ახალგაზრდა ბიჭმა გოგონას ხელი რომ ჩაჰკიდა და ეზოდან გაიყვანა, ბავშვიც მშვიდად გაჰყვა, მაგრამ მთავარ მოწმეს რაღაცეები ერეოდა, ხან ამბობდა, ქუდი ეფარაო, ხან არა – უქოდოდ იყოო, ჩაცმულობაზეც ბევრს ვერაფერს იძახდა და ძალოვნებმა არ იცოდნენ, მისთვის უნდა დაეჯერებინათ თუ არა. ვერსია, რომ გერი ბავშვზე ეჭვიანობდა და მას მემკვიდრეობაში მოცილედ თვლიდა, მაშინვე უარყვეს, რადგან ბიჭი სწავლობდა, მამინაცვლმა მას ცალკე ბინაც უყიდა და როგორც კი სწავლას დაასრულებდა, იქ გადავიდოდა. თანაც, არ იყო ის ტიპაჟი, ასეთ რამეებზე ეფიქრა და ედარდა.

გამომძიებლები მოუთმენლად ელოდნენ იმ მომენტს, როცა გამტაცებელი ან გამტაცებლები დარეკავდნენ და გამოსასყიდს მოითხოვდნენ, მაგრამ საათი საათს მისდევდა, ტელეფონზე კი არავინ რეკავდა. სამაგიეროდ, მთელი უბანი პანიკამ მოიცვა, აქაოდა, ვიღაც მანიაკი გამოჩნდა, ბავშვებს იპარავსო და იმ მანიაკის აღწერილობას იმის მიხედვით აგებდნენ, რაც ეზოში მყოფმა მეორე ბავშვმა დაინახა ანუ მან, რომლის მონაყოლიდანაც სამართალდამცავებმა ბევრი ვერაფერი გაარკვიეს. პანიკა კი, მოგეხსენებათ, სასურველი არ არის და ამიტომ, ძალოვნები ყველაფერს აკეთებდნენ იმის დასადგენად, თუ რა ვითარებაში და რაც მთავარია, რატომ გაქრა ბავშვი. ის, რომ ფულის მოთხოვნით არავინ რეკავდა, ბევრ კითხვას აჩენდა, რადგან, გამოდიოდა, რომ გოგონა სხვა მიზნისთვის გაიტაცეს და ის სხვა მიზანი თუ ოჯახს არ უკავშირდებოდა, მაშინ საქმე შესაძლოა, მართლაც სხვაგვარად და უფრო მძიმედ ყოფილიყო. საბჭოთა კავშირის დროს, სიტყვა „მანიაკის“ ხსენება უბრალოდ აკრძალული იყო, რადგან საბჭოეთში ხომ მანიაკები და სერიული მკვლელები არ არსებობდნენ, ეს მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი.

ერთ-ერთმა ოპერმუშაკმა ინფორმაცია მოიტანა, გოგონას დედას, გვერდით უბანში ერთოთახიანი ბინა აქვს ნაქირავები და იქ ახალგაზრდა მამაკაცს ხვდებაო. ეს სერიოზული მინიშნება იყო – ადვილი შესაძლებელი გახლდათ, ბავშვი სწორედ იმ ახალგაზრდა მამაკაცს გაეტაცებინა, საკმაოდ შეძლებული ქალი დაეშანტაჟებინა, ქმარს ფული გამოსძალე და მე მომიტანეო. იყო მეორე ვარიანტიც, ეგებ, იმ ახალგაზრდას ეს ქალი, უბრალოდ, შეუყვარდა და ასე ცდილობდა მისი გულის მოგებას. ბავშვის დედა დაკითხვაზე დაიბარეს და იმ ბინის მისამართი დაუსახელეს, რომელშიც საყვარელს ხვდებოდა. ქალი აშკარად შეცბა, არ ელოდა, რომ გამომძიებლები ასე მალე გაიგებდნენ მის საიდუმლოს, მერე კი თავი დახარა და ჩუმად დაიწყო:

„ჩემს ქმარს, პრაქტიკულად, არასდროს სცალია, ის საქმით არის დაკავებული და ყურადღებას არ მაქცევს. შესაძლოა, ორი-სამი თვე ისე გავიდეს, ცოლ-ქმრული მოვალეობები არც გაახსენდეს. თავიდან ვიტანდი, ვცდილობდი გამეგო, მერე კი, რამდენჯერმე ვუთხარი, ცოტა მეტი ყურადღება მომაქციე-თქო და მოფერების ნაცვლად, უფრო მეტ ფულს მაძლევდა, დანარჩენი არ აინტერესებდა. ერთ დღეს, ჩემთვის აბაზანაში ვიწექი, ბავშვი სკოლაში იყო, როცა მოულოდნელად კარი ჩემმა გერმა შემოაღო. არ ეგონა, რომ სახლში ვიყავი, ინსტიტუტიდან ადრე დაბრუნდა და ისიც ბანაობას აპირებდა, გარეთ ზაფხულის ხვატი იდგა. ისიც შიშველი, მეც და... მოკლედ, ჩემი გერის საყვარელი გავხდი და სინდისის ქენჯნასაც არ ვგრძნობდი, რადგან ის ჩემი ქმრის გერიც იყო ანუ ერთმანეთთან ნათესაური კავშირი არ გვქონდა. ქმარი შინ სხვადასხვა დროს ბრუნდებოდა, ამიტომ შეიძლებოდა წაესწრო. გერი ახალგაზრდაა, სულ უნდოდა სიახლოვე და ამიტომ, ბინა ვიქირავე, იქ ვხვდებოდი. გამორიცხულია, მას გაეტაცებინა ბავშვი... რაში უნდა დასჭირვებოდა ეს?“

სამართალდამცავები გაოცებულები უსმენდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რომ ისტორიის სიმძიმის მიუხედავად, იმედი, რომ საქმე სწორედ ამ მიმართულებით გაიხსნებოდა, ნელ-ნელ ქრებოდა. არ იყო ის ბეყე ბიჭი ბავშვის გამტაცებელი და რაც მთავარია, ამის გაკეთება არაფერში სჭირდებოდა. დედინაცვალი, პრაქტიკულად, გამოჭერილი ჰყავდა, მამინაცვლისგან რისი მიღებაც შეიძლებოდა, მიღებული ჰქონდა, ფულს ცალკე – ერთს სცინცლავდა, ცალკე – მეორეს და ცხოვრობდა ბედნიერად. პირიქით, ბავშვის დაკარგვა მას ხელს აშკარად არ აძლევდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იმ კორპუსის მცხოვრებლებმა, სადაც ქალს ბინა ჰქონდა ნაქირავები, გერის სურათის ნახვის შემდეგ დაადასტურეს, რომ ქალი სწორედ ამ ახალგაზრდა კაცთან ერთად მიდიოდა ხოლმე.

უფრო საინტერესო რამ სხვა ოპერმუშაკმა აღმოაჩინა. როგორც გაირკვა, მამაკაცს პირველი ცოლი მას შემდეგ მოუყვანია, რაც ავარიაში მოჰყვა და სერიოზული ტრავმა მიიღო. მას ერთი საკვერცხე ამოაჭრეს, ხოლო საზარდულის მიდამოებში ისეთი დაზიანება ჰქონდა, შვილის ჩასახვის შესაძლებლობა მოესპო და უდიდესი ალბათობით, ბავშვიანი ქალიც ამიტომ შეირთო, რათა მემკვიდრე ჰყოლოდა. მერე ცოლი სიმსივნით გარდაეცვალა და სხვა ქალი მოიყვანა, მაგრამ საოცრება სწორედ ის გახლდათ, რომ ამ ქალმა ბავშვი გაუჩინა მაშინ, როცა რეალურად, კაცი უნაყოფო იყო. დაკარგული ბავშვის დედა დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაიბარეს. მან, ჩვეულებისამებრ წაიტირა, მერე კი მოყოლა დაიწყო:

„ჩემს მომავალ ქმარს ბავშვი რომ არ ეყოლებოდა, არ ვიცოდი. ორწლიანი ცხოვრების შემდეგ, დასასვენებლად ზღვაზე ვიყავით. მერე ქმარი სამსახურის საქმეზე თბილისში გამოიძახეს, მე კი, ზღვის სანაპიროზე, ვიღაც ტურისტთან მეძინა და დავორსულდი. ქმარს ღალატის შესახებ ხომ არ ვეტყოდი, მაგრამ თვითონ მითხრა, ვიცი, ბავშვი ჩემი არ არის, თუმცა ისე გავზრდი, როგორც საკუთარსო და მერე გავიგე, რომ უნაყოფო ყოფილა, ვეჩხუბე კიდეც, რომ მცოდნოდა, არ გამოგყვებოდი-მეთქი და სიმართლე გითხრათ, გერთან ურთიერთობის დაწყებაც ამიტომ გავბედე, თითქოს, ღალატს შეგუებული იყო“...

კიდევ ერთი საოცრება ზუსტად ერთ დღეში მოხდა – განყოფილებაში ახალგაზრდა ბიჭი მივიდა, თან გატაცებული გოგონა მიიყვანა, რომელიც მშვიდად ჭამდა ფუნთუშას და აქეთ-იქეთ ცნობისმოყვარედ იცქირებოდა.

„მე იმ კაცის შვილი ვარ, ნამდვილი შვილი. როცა დედაჩემი კვდებოდა, მაშინ გამიმხილა, ვინ იყო მამაჩემი. ორი თვის წინ მივადექი, მან კი სიცილი დაიწყო, ნეტავ ერთი, მოგცლია, საკმარისად მყავს შვილები, არ მაინტერესებო. ჩემი დის გატაცებით მისი ყურადღების მიქცევა მსურდა, იცოდა, სადაც ვცხოვრობდი, დავუტოვე მისამართი, მაგრამ არც გავხსენებივარ. ჩემს დას პრინცესასავით ვუვლიდი, ავუხსენი ვინ ვიყავი, უხაროდა, ახლა კი... ახლა მოვედი და მზად ვარ, პასუხი ვაგო“, – განაცხადა ბიჭმა.

ძალოვნებმა დაკითხვაზე პრაქტიკულად მთელი ოჯახი დაიბარეს. მამამ აღიარა, რომ ეს ბიჭი მართლაც მისი იყო და მისი არსებობის შესახებაც იცოდა, თუმცა ერთხელ მოძებნა და მერე თავი აღარ შეუწუხებია, ახლა კი, მისთვის ცალკე ბინისა და განათლების მიცემას არ აპირებდა, არ აინტერესებდა, ვინ იყო მისი და ვინ არა, ჩემი საქმე მაქვს და შემეშვითო. ბიჭმა გაიგო, რომ რელურად არც და ჰყავდა მამის მხრიდან, არც ძმა და საერთოდ, ერთადერთი მემკვიდრე იყო, დედინაცვალმა და გერმა აღიარეს ურთიერთობა, რის შემდეგაც კაცმა სახლიდან ცოლი გააგდო და გერი მის ბინაში გაუშვა. გამომძიებლებმა ბავშვის გამტაცებელი არ დასაჯეს, რადგან კოდექსში იყო მუხლი, თუ დამნაშავე დანაშაულს მოინანიებდა და მძიმე შედეგი არ დადგებოდა, ის პასუხისმგელობისგან თავისუფლდებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრის 30-ე იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლების ევროპული ცენტრის 30-ე იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მისასალმებელ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა მარშალის ცენტრის პროგრამების მნიშვნელობაზე. ალექსანდრე დარახველიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიესალმება და მხარს უჭერს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას უსაფრთხოების საკითხებზე. ალექსანდრე დარახველიძემ აგრეთვე მიმოიხილა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში მიღწეული პროგრესი და ამ მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმები,ასევე, ახალი ინიციატივები.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს, მინისტრის მოადგილემ კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება საერთაშორისო პარტნიორების მიმართ და სამომავლო ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. ცენტრის 30-ე იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ლაშა დარსალია, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რობინ დანიგანი და საქართველოში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩი პეტერ ფიშერი.

შინაგან საქმეთა მინისტრი ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსვენებული პირების სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, მთავრობის წევრებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან – თორნიკე რიჟვაძესთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებული, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სამოქალაქო პანაშვიდს დაესწრო და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად უგზო-უკვლოდ დაკარგული 20 იდენტიფიცირებული პირის ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა, მათგან 14 სამხედრო და ექვსი მშვიდობიანი მოქალაქეა. ხუთ მებრძოლს დიღმის ძმათა სასაფლაოზე, დანარჩენებს კი, ოჯახების გადაწყვეტილებით, სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვის ვალდებულებას ითვალისწინებს

საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით, 78 ხმით, მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლითაც ცვლილება შედის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე წარადგინა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანი, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

ცვლილებების თანახმად, 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე გადაადგილებისას სავალდებულო იქნება სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, შესაძლოა, დადგინდეს ზემოაღნიშნული პერიოდისგან განსხვავებული დროის მონაკვეთი ან დაწესდეს დამატებითი მოთხოვნა, სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებთან ერთად მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით აღჭურვის შესახებ. ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ზამთრის საბურავების ტექნიკური მახასიათებლები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

პოლიციამ დმანისის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2008 წელს დაბადებული გ.ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, დმანისის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 2005 წელს დაბადებულ ე.გ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა გ.ნ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 18 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში 18 პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1966 წელს დაბადებული მ.ც., 2002 წელს დაბადებული ე.კ., 1970 წელს დაბადებული დ.ი. (მეტსახელად, „იავა“), 1994 წელს დაბადებული გ.დ., 1978 წელს დაბადებული ი.ა. (მეტსახელად, „კოტო“), 1960 წელს დაბადებული გ.ნ.. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1991 წელს დაბადებული ნ.გ. (მეტსახელად, „ლოპე“), 1985 წელს დაბადებული ბ.გ., 1988 წელს დაბადებული ლ.გ., 1996 წელს დაბადებული ლ.შ., 1960 წელს დაბადებული შ.თ. (მეტსახელად, „ხასიკო“).

„კანონიერი ქურდისთვის“ და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1986 წელს დაბადებული პ.შ., 1970 წელს დაბადებული მ.თ., 1992 წელს დაბადებული ლ.თ., 1978 წელს დაბადებული რ.ა., 1974 წელს დაბადებული ვ.ხ. (მეტსახელად, „ბულალა“), 1973 წელს დაბადებული მ.თ., 1962 წელს დაბადებული ნ.ც. დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადგინდა, რომ ბრალდებულები მოქალაქეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარებისა და პირადი სარგებლის მიღების მიზნით, საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ. „კანონიერი ქურდების“ – რუსლან გეგეჭკორის, თენგიზ ხოფერიას, ჯეირან კინწურაშვილის, რევაზ მორჩილაძისა (მეტსახელად „პიტკინა“) და პაატა ბაქრაძის დავალებით ე.წ. ქურდული გარჩევები ეწყობოდა, რომლებსაც მოდავე მხარეებიც ესწრებოდნენ.

ბრალდებულები სხვადასხვა დროსა და ადგილას, ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად, გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ერთ-ერთ მოდავე მხარეს მეორის, ასევე, თავიანთ სასარგებლოდ განსაზღვრულ დროში გარკვეული თანხის გადახდას აკისრებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებოდნენ „კანონიერი ქურდების“ მითითებებს, მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღები, მჭიდები, ვაზნები, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, ფული, კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდებოდნენ. გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით, 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით, 273-ე პრიმა მუხლით და 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

კვარაცხელიას მაცარი გაწვრთნის

როგორც მოსალოდნელი იყო, „ნაპოლის“ მთავარ მწვრთნელს, რუდი გარსიას კარისკენ მიუთითეს და როცა ხვიჩა კვარაცხელია სანაკრებო პაუზის შემდეგ, იტალიაში დაბრუნდება, ახალ თავკაცთან მოუწევს მუშაობა. ის ახალი კი, ვალტერ მაცარი გახლავთ – 62 წლის სპეციალისტი, რომელიც ნეაპოლელებს 2009-2013 წლებში თავკაცობდა. ჯერ ის ვთქვათ, რატომ გაუშვეს გარსია და რა გეგმები აქვს მაცარის.

33-წლიანი ლოდინის შემდეგ, „ნაპოლი“ გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონი გახდა და ცხადზე ცხადი იყო, ტიტულის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებოდა. ეს იმის მიუხედავად, რომ გუნდმა ძირითადი ბირთვი დაიტოვა და ლიდერები არ გაყიდა. მძიმე მისიის შესრულება რუდი გარსიამ იკისრა, რომელიც შეთავაზებულ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა და სპეციალისტებმა მაშინვე თქვეს, გარსია ნახევარ სეზონსაც ვერ იმუშავებს, მოხსნიანო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ეს ახდა – ბოლო ტურში საშინაო მარცხი ფრანგ სპეციალისტს აღარ აპატიეს.

სანამ იმაზე მიდიოდა მსჯელობა, თუ ვის დანიშნავდა მთავარ მწვრთნელად აურელიო დე ლაურენტისი, კლუბის ყოფილმა დამრიგებელმა, ვალტერ მაცარიმ მედიასთან კომენტარი გააკეთა, მე რომ დამნიშნონ, ჩემპიონობის შენარჩუნებას მოვახერხებ და მზად ვარ, უმნიშვნელო ჯამაგირსა და ისეთ კონტრაქტზე ვიმუშაო, რომელიც სეზონის ბოლომდე იქნება გათვლილი ყოვლგვარი წინაპირობის გარეშეო. ჰოდა, როგორც ჩანს, დე ლაურენტისმა ეს ინტერვიუ წაიკითხა და მაცარის შვიდთვიანი კონტრაქტი და ამ ხნის განმავლობაში, მილიონზე ნაკლები ჯამაგირი შესთავაზა... ისიც დათანხმდა.

ვერ გეტყვით, რამდენად მოახერხებს ვალტერ მაცარი სიტყვის შესრულებას, მაგრამ მას უმძიმესი კალენდარი დახვდა. „ნაპოლის“ უახლოესი ოთხი შეხვედრის განრიგი ასეთია: სერია A – 26 ნოემბერი („ატალანტასთან“ სტუმრად), 3 დეკემბერი – („ინტერთან“ შინ), 8 დეკემბერი – („იუვენტუსთან“ სტუმრად), ჩემპიონთა ლიგა – 30 ნოემბერი („რეალთან“ სტუმრად).

მიქაუტაძე იანვარში „აიაქსს“ დატოვებს

ბევრი წვალებისა და მსჯელობის შემდეგ, გადაწყდა, რომ გიორგი მიქაუტაძე ზამთრის სატრანსფერო სეზონში „აიაქსს“ დატოვებს. იმის მიუხედავად, რომ ერედივიაიონის ბოლო ტურში გიორგიმ მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, საკუთარ პოზიციაზე არ ათამაშეს და უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ქართველი შემტევი ამსტერდამელებს უბრალოდ არ სჭირდებათ. არსებობდა ვარაუდი, რომ ზამთარში მიქაუტაძე თავის ყოფილ კლუბს, „მეცს“ იჯარით დაუბრუნდებოდა, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის. ჟორჟის გადაბირება სახელოვან „ლიონსაც“ სურს, კლუბს, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატში საშინლად ასპარეზობს და პირველობისთვის ბრძოლას ვინ ჩივის, 11 ტურის შემდეგ, 7 ქულით, ბოლო ადგილზეა.

თანაც, „ლიონს“ 11 ტურში მხოლოდ 9 გოლი აქვს გატანილი ანუ გოლეადორი უჭირს, არადა, კლუბს დიდი გეგმები ჰქონდა, მწვრთნელად იტალიელი მსოფლიოს ჩემპიონი, ფაბიო გროსო ჰყავთ და ამის მიუხედავად, ჯერჯერობით არაფერი გამოსდით. ჰოდა, თუ „მეცს“ მიქაუტაძე იჯარით სურს, ლიონელები მზად არიან, მისი ტრანსფერი გამოისყიდონ, რაც „აიაქსს“ აშკარად უფრო აწყობს. საქმეში რომის „ლაციოც“ ჩაერთო, გუნდი, რომელსაც გიორგის შეძენა მანამ უნდოდა, სანამ ამსტერდამელები გადაიბირებდნენ. მოკლედ, ზამთარში ჩვენც და მიქაუტაძეც ახალ კლუბს ველით.

„სიტიმ“ მილიონების ორი რეკორდი მოხსნა

ჩამპიონთა ლიგისა და ინგლისის პრემიერლიგის გასული სეზონის ჩემპიონმა, „მანჩესტერ სიტიმ“ ერთბაშად ორი რეკორდი მოხსნა. წარმატებული თამაშის შედეგად, კლუბმა შემოსავლების სახით, ერთ წელიწადში, 712.9 მილიონი ფუნტი მიიღო, რაც 99.8 მილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით. მანჩესტერელებმა საკუთარი რეკორდი გააუმჯობესეს და მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან კლუბად იქცნენ. საინტერესოა, რომ ამ თანხიდან, ლამის 300 მილიონი (უფრო კონკრეტულად კი, 299.4 მილიონი) ტელეტრანსლაციებიდან მიიღო, კომერციულმა შემოსავალმა 341.4 მილიონი შეადგინა, ხოლო მატჩების ჩატარების დღეებში მიღებული მოგება 71.9 მილიონი ფუნტია.

სხვათა შორის, რეკორდული შემოსავლის მიუხედავად, მოგება რეალურად არც ისე დიდია. სუფთა მოგებამ 80.4 მილიონი გირვანქა შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით, ლამის ორჯერ მეტია. შემოსული თანხიდან 422.9 მილიონი ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და მომსახურე პერსონალის ხელფასებში წავიდა.

არველაძე კიევის „დინამოში“?

მას შემდეგ, რაც 2022 წელს, შოთა არველაძე ინგლისური „ჰალ სიტიდან“ გაათავისუფლეს, სამწვრთნელო კარიერაში პაუზა აქვს. ქართველი სპეციალისტი არაერთ კლუბს დაუკავშირეს (სულ ბოლოს ამსტერდამის „აიაქსს“), მაგრამ ფაქტია, რომ ის დღემდე უმუშევარია.

გასულ კვირას თანამდებობა კიევის „დინამოს“ თავკაცმა, მირჩა ლუჩესკუმ დატოვა და როგორც ამბობენ, უკრაინული კლუბის მესვეურები წინააღმდეგნი არ არიან, თუ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს სწორედ არველაძე ჩაიბარებს. მართალია, უკრაინული მედია ამტკიცებს, კიეველები ქართველს ჯერ არ დაკავშირებიან და ეს უბრალოდ მხოლოდ სურვილები და მოსაზრებებიაო, მაგრამ ზუსტად იგივე ხდებოდა მაშინ, როცა შოთი „ჰალში“ ინიშნებოდა და საბოლოო ჯამში, ტრანსფერი შედგა.

ფეხბურთი რაგბის წესებით?

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭოში სერიოზულად დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთში ათწუთიანი გაძევება შემოიღონ. ეს საკითხი მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც მოთამაშეთა მხრიდან, მსაჯებისადმი აგრესიულმა დამოკიდებულებამ იმატა. ფეხბურთელებს არბიტრის გადაწყვეტილება თუ არ მოსწონთ, მათ უხეშად მიმართავენ, უყვირიან და ამ დროს, არბიტრს მხოლოდ ყვითელი ბარათის ჩვენების უფლება აქვს. ჰოდა, დიდი შანსია, ახლა ეს წესი შეიცვალოს და უკვე მომავალი სეზონიდან, არბიტრისადმი უხეშობა ათწუთიანი გაძევებით დაისაჯოს.

განიხილავენ კიდევ ერთ ვარიანტს, რომლის მიღების შემთხვევაშიც, მსაჯთან კომუნიკაციის უფლება მხოლოდ გუნდის კაპიტანს ექნება, ყველა სხვა ფეხბურთელს კი, რომელიც მსაჯთან კამათში შევა, ავტომატურად ყვითელი ბარათი ერგება. შეგახსენებთ, რომ ათწუთიანი გაძევება და მსაჯთან მხოლოდ კაპიტნების კომუნიკაციის უფლება რაგბიშია მიღებული და როგორც ჩანს, საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭოს რაგბის წესები მოსწონს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მარცხით დაასრულა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაასრულა. დასრულა მარცხით და ჯგუფში ბოლოს წინა, მეოთხე ადგილით ანუ მოხდა ის, რასაც ბევრი ელოდა და ჩვენმა გუნდმა სასწაული ვერ შემოგვთავაზა. სასწაული კი, ჯგუფში შოტლანდიაზე, ნორვეგიასა და ესპანეთზე უკეთესი შედეგის დადება იქნებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ისე, ვინც იტყვის, რომ შოტლანდია, ნორვეგია და ესპანეთი მაღალი დონის ნაკრებები არიან, მართალი არ იქნება. ესპანეთს თავი დავანებოთ და შოტლანდია თუ ნორვეგია, დაახლოებით, იგივე კალიბრის გუნდები გახლავან, როგორიც შვედეთია და შვედები კიდევ, მაშინ, როცა ჩვენ სქოთებს თბილისში, ფრე ვეთამაშეთ, აზერბაიჯანის ნაკრებმა ბაქოში, 3:0 გააკრა ბეჭებზე და თანაც, ლამის მთელი მეორე ტაიმი ჩვენმა მეზობლებმა 10 კაცით ითამაშეს. ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში ორი შეხვედრა მხოლოდ კვიპროსს

მოუგო, ნაკრებს, რომელმაც ყველასთან ყველა მატჩი დათმო და ეს სათვალავში ჩასაგდები აშკარად არაა. კვიპროსულ ფეხბურთს აშკარად ცუდი პერიოდი უდგას და უფრო ცუდი ის გახლავთ, რომ სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა თემურ ქეცბაიას მწვრთნელობა.

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრებს. შოტნალდიელთა თავკაცი თბილისში ჩამოსვლისთანავე აცხადებდა, რომ მის გუნდს მოტივაცია არ ჰქონდა, რადგან სქოთები ევროპის ჩემპიონატზე უკვე მოხვდნენ და აქაური ქულები არაფერში სჭირდებოდათ. ამის მიუხედავად, მათმა თავკაცმა დაიქადნა, ბოლომდე ვიბრძოლებთ და იოლად არაფერს დავთმობთო, რაც საქმით დაამტკიცა კიდეც და ჩვენს გუნდს შოტლანდიელებმა სამი ქულა ჯიბიდან მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ამოაცალეს. მოდით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვთქვათ – ჩვენმა ნაკრებმა შოტლანდიასთან 2 გოლი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა და ეს არ იყო რამე დამუშავებული კომბინაციებისა და მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრის შედეგი. არ ეტყობოდა ჩვენს ნაკრებს მწვრთნელის ხელი და ამაზე ხმამაღლა საუბრობს ყველა, ვისაც ფეხბურთში რამე გაეგება. თუნდაც ის რად ღირს, რომ შოტლანდიელებს ბურთი დავუთმეთ, მეორე ნომრად ვითამაშეთ და კონტრ-შეტევების იმედად ვიყავით. არაა შოტლანდია ის გუნდი, სტუმრად პირველ ნომრად ითამაშოს და ჩვენ ამის შესაძლებლობა მივეცით.

რაც შეეხება ესპანეთთან შეხვედრას. თბილისური 1:7-ის შემდეგ, არა მარტო მეტოქის, არამედ, ზოგადად, საფეხბურთო სამყაროს თვალში რეაბილიტაცია აუცილებლად გვჭირდებოდა. მატჩი ესპანელთა უპირატესობით დაიწყო და მეოთხე წუთზე გოლიც გავიდა. გულშემატკვირათა უმრავლესობა, მორიგი კოშმარისთვის მოემზადა, მაგრამ ისევ ჩაკვეტაძის პასით, ისევ კვარაცხელიამ შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა მაინც იძალეს და კიდევ 2 გოლი გაიტანეს, თუმცა რომ არა გიორგი მამარდაშვილი, სხვაობა ბევრად მეტი იქნებოდა.

რა დაგვანახა ამ ორმა შეხვედრამ? პირველ რიგში ის, რომ გუნდს მწვრთნელის ხელი არ ეტყობა, სამივე გოლი (ორი შოტლანდიასთან, ერთი ესპანეთთან), ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გავიტანეთ, სამივეჯერ საოცარი პასი გააკეთა გიორგი ჩაკვეტაძემ და სამივეჯერ შეასრულა ხვიჩა კვარაცხელიამ. მარტში, პლეი-ოფის მატჩებისთვის, ეს საკმარისი რომ არ იქნება, ახლავე შეიძლება ვთქვათ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ რამეს ვაჭარბებთ და არარეალურს ვითხოვთ... აგერ, მოლდოვამ ბოლო ტურამდე შეინარჩუნა ჯგუფიდან გასვლის შანსი, იგივე ქნა ყაზახეთმაც და მოლდოვა-ყაზახეთს, წესითა და რიგით, კი უნდა ვჯობდეთ. ყოველ შემთხვევაში, მათ შემადგენლობაში, იმ დონის ფეხბურთელები, როგორებიც ჩვენ გვყავს, უბრალოდ, არ არიან.

გუგული

გოდერძი ჩოხელი

„გიყვარდეს მტერი შენი“...

თუკი რამ კარგი და ლამაზი მახსოვს, ბავშვობიდან მახსოვს.

გუგულიც იქიდან მახსოვს, იქიდან გამომძახის.

– გუგუ!

– გუგუ!

და თითქოს იყო და არა იყო რა. ბავშვობაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ლამაზი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. გორის იქეთიდან მხოლოდ ყურის წვერი ამოეყო მთვარეს და ეგრე ჩუმად, ფეხაკრეფით შემოდიოდა ხეობაში. იყო ლამაზი გათენება. ჯერ ამოსულიც კი არ იყო მზე, რომ იმისი სხივები ძილს აღარ მანებებდნენ. „დილით ამდგარსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა“, ჩამჩურჩულებდა დედაჩემი ყურში და „აბა, მზეს თუ დაასწრებ ადგომასო“, წამოვხტებოდი და მზეს ვეჯიბრებოდი. იყო ყვითელი შემოდგომა და შემოდგომაზე ფრინველების წასვლით დარჩენილი სევდა.

ჯერ მერცხლებს გამოვიგლოვებდით მე და ჩემი თანატოლები, მერცხლებს მიჰყვებოდნენ ტოროლები, გულყვითელები, ბოლო-ცეცხლები, გუთნის ჩიტები და სხვანი და სხვანი მიფრინავდნენ გუნდ-გუნდად, თავის ბარტყებთან ერთად, იმ ბარტყებთან, ჩვენ რომ თითქმის ყველას ვიცნობდით, თითქმის ჩვენს ხელში დაიზარდნენ, მიფრინავდნენ და მაშინ ჩვენთვის აუხსნელ სევდას გვიტოვებდნენ. ტყეებში მარტო ჩხიკვები და შაშვები რჩებოდნენ. სოფლის ახლომახლო ყვავი დაყრანტალებდა და ამით ამცნობდა დანარჩენ ყვავებს, რომ ხის კენწეროზე შემორჩენილი მწიფე მსხალი იპოვა და ამიტომ მაგარი, ყოჩაღი ყვავია. დღითიდღე იცრიცებოდა, იძარცვებოდა შემოდგომა.

კვირაში ერთხელ არწივი ჩამოიფრენდა ხეობაში, მიდამოს თვალს გადაავლებდა, შეამოწმებდა, ფრთოსნებიდან რომელიმე ხომ არ დარჩა თბილ ქვეყანაში წამსვლელიო და რომ დარწმუნდებოდა, ისევ ჭიუხებისკენ წავიდოდა ყეფით. ერთი ორჯერ თუ შეატყლაშუნებდა ფრთებს, მეტად არა. დღეები თანდათან მსუბუქდებოდა, გამსუბუქებული დედამიწა თითქოს ზეცისკენ მიიწევდა. ცასა და მიწას ერთი ფერი დაედებოდა, ახლა ვხვდები, რომ ეს ფერი გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი. და ამის მერე იყო ზამთარი. თოვლის ფიფქები მოდიოდნენ. ზეცის ყვავილობა გეგონებოდა. ყველაფერი თოვლის საბურველში გაეხვეოდა და არაფერი არ უხდებოდა ბავშვობას ისე, როგორც ზამთარი. ციგაობა, თოვლის კაცების აშენება, გრძელი ზღაპრებით სავსე ღამეები და... ყოველთვის, ეს რომ მოგვწყინდებოდა, სწორედ მაშინ მოვიდოდა გაზაფხული. შეეშინდებოდა ზამთარს, დანაწილდებოდა ნაკადულებად, ზვავებად და გარბოდა, მიწაში იმალებოდა. ზეციდან მოსული იყო, მაგრამ მიწაში იმალებოდა. მიწიდან კი გაზაფხული ამოდიოდა – ენძელებად, იებად, ყოჩივარდებად, თეთრად აფეთქებულ ტყემლებად, კლდის ფხაზე ამოშვერილ პირიმზედ, ჩრდილში მოსულ გვირილად და ისევ და ისევ ბავშვების ჟრიამულად. და ისევ, თითქოს იყო და არა იყო რა, იყო ლამაზი გაზაფხული ნაირ-ნაირი პეპლებით სავსე. დავდევდით პეპლებს და როგორმე რომ დაგვეჭირა, ვატყუებდით:

„დაჯე, დაჯე, პეპელაო, თორემ დედა მოგიკვდება“.

პეპლებს, რა თქმა უნდა, დედის სიკვდილის ეშინოდათ და სხდებოდნენ. გაიხსნებოდა გზები, დაიწყებოდა მგზავრების მიმოსვლა. გაზაფხულობით ჩამოივლიდა ხოლმე მღვდელი, შეკრებდნენ ერთ სახლში იმ წელს დაბადებულ ბალღებს. იყო ერთი სიცილ-კისკისი და ბალღების ჩხავილი. მერე მღვდელი წიგნს გადაშლიდა და კითხულობდა. ბევრს ვერაფერს ვგებულობდით, მაგრამ ერთი რამ ძალიან გვაკვირვებდა – „გიყვარდეს მტერი შენი“... რატომ? რატომ უნდა გვყვარებოდა მტერი?! ვერა, ვერ ვგებულობდით. ხეობა კი თანდათან ივსებოდა გუთნის ჩიტებით, კოდალებით და ბოლოცეცხლებით. ხეობა სავსე იყო ფრინველთა გალობით და ერთ დღესაც ამ გალობაში გაისმებოდა: – გუგუ! – გუგუ! ეს ხმა ყველაზე მეტად გაგვახარებდა.

რატომღაც გვეგონა, რომ გუგულს მოჰყავდა გაზაფხული.

– გუგულო, რამდენი წლისა ვარ? – გავძახებდით გუგულს და ისიც, რა თქმა უნდა, იმდენჯერ დაიძახებდა „გუგუს“, რამდენი წლისაც ვიყავით. მერე დედები გუდებს მოგვკიდებდნენ და გაგვაგზავნიდნენ წიფლიან ტყეში. ჩვენ მთელი დღე ჩასაფრებული ვყავდით გუგულს, რომ თუ რომელიმე ხეზე შემოჯდებოდა, იმ ხისთვის სამჯერ უნდა შემოგვერბინა ძახილით:

– გუგულო, ღალა მოგპარე! – გუგულო, ღალა მოგპარე! – გუგულო, ღალა მოგპარე! თუ ამას მოვახერხებდით, გვჯეროდა, რომ იმ წელს ბარაქიანი მოსავალი გვექნებოდა. გუგულებს კი, თითქოს, ეს არ უნდოდათ, მაშინვე გაფრინდებოდნენ იმ ხიდან, რომელსაც გარშემო ვურბენდით. ახლა სხვა ხეზე შემოჯდებოდნენ და ჩვენც იმ ხეს მივეპარებოდით. ამასობაში შევამჩნიეთ, რომ გუგულს ყოველ დღე სამი ნიბლია ჩიტი დასდევდა თან. ჭრელფრთიანები იყვნენ, პატარა, წვრილი ნისკარტები ჰქონდათ. თავზე ისეთი ბუმბულით იყვნენ შემოსილი, თითქოს გუგულის დიასახლისები იყვნენ და თავზე კოპლებიანი თავსახურავები ეხურათ. მერე ისიც შევამჩნიეთ, რომ დილით სამი ასეთი ჩიტი დაჰყვებოდა გუგულს, შუადღისას – ორი, საღამოს კი – ერთი. გაფრინდებოდა გუგული და ისინიც უკან გაჰყვებოდნენ. მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს პატარა ჩიტები გუგულის დიასახლისები იყვნენ და ერთხელ გუგულის დევნით დაღლილ-დაქანცულმა მღვდელს ვკითხე:

– გუგულს თუკი ჰყავს დიასახლისები, რატომ სხვა ფრინველებს არა ჰყავთ?

– რა დიასახლისები?! – გაუკვირდა მღვდელს.

– აი, სამი პატარა ჩიტი რომ დაჰყვება თან.

– ეგენი დიასახლისები კი არა, გუგულს ყოველდღე სამი ეგეთი ჩიტი უბოძა საზრდოდ ღმერთმა. ერთს დილით სჭამს, მეორეს შუადღისას და მესამეს საღამოს. ერთ ჩიტს მარტი ჰქვია, მეორეს – აპრილი, მესამეს – მაისი, მითხრა მღვდელმა. იმ დღის მერე გადავემტერეთ გუგულს. მთელი სოფლის ბალღები ისე აგვაფორიაქა გუგულის საქციელმა, რომ ერთ დღეს „შევიარაღდით“ და გუგულის მოსაკლავად წავედით. გუგული მუხაზე იჯდა და ხეობას გასძახოდა. მოვმართეთ შურდულები და დავუშინეთ ქვები. გუგული გაფრინდა და ჩიტებიც თან გაჰყვნენ. ორნიღა იყვნენ, ეტყობა, ერთი უკვე შეჭამა. გამოვედევნეთ უკან და აღარ მივეცით მოსვენება. შუადღემდე მუხლი არ ჩაგვიხრია.

ცოტა ხნით სადღაც დაგვეკარგა და ხელახლა რომ ვიპოვეთ, ერთი ჩიტიღა დასდევდა თან. როგორც იქნა მოხვდა ქვა. წიფლიდან ჩამოვარდა, პატარა ჩიტიც თან ჩამოჰყვა, მერე ისევ გაგვიფრინდა. ეტყობა ფრთა ჰქონდა მოტეხილი. ნიბლია ჩიტიც თან მიჰყვებოდა. გუგული ღვიის ბუჩქებში ჩაეშვა და კარგა ხანს ვეღარ ვიპოვეთ, როცა მივაგენით, სანახაობამ ერთად შეგვაყენა და ნაბიჯი ვეღარ წავდგით – ღვიის ძირში გუგული ეგდო და სულს ღაფავდა. მოტეხილ ჭროღა ფრთაზე წითლად ჰქონდა სისხლი შემხმარი. იქვე, ღვიის ტოტზე მობუზული იჯდა ნიბლია ჩიტი და თავის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან. ჩვენს დანახვაზე არც კი ცდილა, რომ გაფრენილიყო. ამ სანახაობამ ისე დაგვწყვიტა გული, რომ იქვე პატარა საფლავი გავთხარეთ და ჩვენ, ბავშვებმა, პირველად, ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, გუგული დავმარხეთ.

ნიბლია ჩიტი კარგა ხანს იჯდა თვალცრემლიანი ღვიის ტოტზე, მერე კი, თითქოს რაღაც გაახსენდა, უცებ დაიწრიპინა, თავსაფრიანი თავი ჰაერში გააქნია, სუსტი ფრთები გაშალა და საღამოს ბინდბუნდს შეერია. ახლა, რამდენჯერაც გაზაფხული მოვა, ყოველთვის ის გუგული მახსენდება და მაშინ ნანახზე რატომღაც ახლა ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ ტიროდა ეს პატარა ნიბლია ჩიტი. მაისი კი იქ, ჩემს ბავშვობაშიც, წვიმიანი იცოდა.

ქალი-ტერმინატორი გინესის წიგნში მოხვდა



კალიფორნიაში მცხოვრები ანასტასია სინი, ორგანიზმში ყველაზე მეტი ტექნოლოგიური იმპლანტის არსებობით, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. იმპლანტებს შორისაა ყველაზე დიდი მაგნიტი, რომელიც ოდესმე ჩაუდგიათ ადამიანისთვის, ასევე, ყურში ჩადგმული მაგნიტი, რომელიც ხმებს გადასცემს. სინის ორგანიზმში სულ 52 მოწყობილობაა, მათ შორის, დაპროგრამებული ჩიპები, რომლებიც ქალს, ხელ-ფეხის დახმარებით, გარკვეული საყოფაცხოვრებო მოქმედებების (მაგალითად, კარის გაღება, კომპიუტერის ჩართვა) შესრულებაში ეხმარებიან. თავად ანასტასია მიიჩნევს, რომ ამ ყველაფრის გამო, მას განსაკუთრებული მგრძნობელობა და უჩვეულო უნარები აქვს.

ნაღვლიანი მუსიკა ტკივილს აყუჩებს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ემოციურ რეაქციებს, რასაც მუსიკა იწვევს, ტკივილის შემცირება შეუძლიათ. ამ საქმეში ყველაზე ეფექტური კი ნაღვლიანი სიმღერებია. ათბალიანი შკალის მიხედვით, საყვარელი მუსიკა ტკივილს, დაახლოებით, ერთი ბალით ამცირებს. ის ისეთივე ეფექტურია, როგორც ურეცეპტოდ გასაცემი ტკივილგამაყუჩებლები – აცხადებენ მკვლევარები. მათ ექსპერიმენტში 65 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ხელზე ცხელ ჭიქასთან შეხების ასოციაციას უქმნიდნენ. ამ დროს ისინი საყვარელ მელოდიებს, ან შემთხვევით არჩეულ დამამშვიდებელ მუსიკას უსმენდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ საყვარელი მელოდიის მოსმენისას, ისინი ტკივილს უფრო ნაკლებად შეიგრძნობდნენ.

მოკოლადი ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისთვის

პოლონელმა სწავლულებმა, სილეზიის სამედიცინო ინსტიტუტიდან, სპეციალური შოკოლადი შექმნეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ოსტეოპოროზი ემუქრებათ. ეს არის დაავადება, რომლის დროსაც გამუდმებით იკარგება ძვლოვანი მასა, ძვლები კი მყიფდება. შედეგად, უმცირესი ტრავმის დროსაც კი, შესაძლოა, ადამიანმა სერიოზული მოტეხილობა მიიღოს. მთელ მსოფლიოში, 50 წელს გადაცილებული ქალების 20%-სა და მამაკაცების 6%-ს აწუხებთ ეს დაავადება.

ახალი პოლონური შოკოლადი შეიცავს D3-სა და K2 ვიტამინებს. ისინი არ ცვლიან ტკბილეულის გემოს, მაგრამ ამავდროულად, შოკოლადში მათი საკმარისი რაოდენობაა – პროფილაქტიკური ეფექტის მოსახდენად. გარდა ამისა, მეცნიერებმა შოკოლადის ფილებისთვის სპეციალური შეფუთვაც მოიფიქრეს, რომელიც ტკბილეულის მნიშვნელოვან ინგრედიენტებს დაშლისგან იცავს. ამჟამად, პოლონელი სწავლულები აპირებენ, სიახლე მასობრივ წარმოებაში გაუშვან.

რომში რესტორანი ძაღლებსაც გაუხსნეს

Fiuto – ახალი რესტორანია, რომელიც იტალიელებმა ოთხფეხა მეგობრებს გაუხსნეს. მენიუში მათთვის დახვეწილი წასახემსებლების, ძირითადი კერძებისა და დესერტების, ასევე, სასმელების დიდი არჩევანია. მათ შორისაა, ქათმის ნაგეთსები და კარტოფილის პიურე, ღორის ხორცი ყაბაყით და ჟულიენი, ვირთევზა რიკოტათი, მოხარშული კვერცხი ბარდის კრემით და სხვა. კერძების ფასი 10-დან 22 ევრომდეა. შეკვეთა ძაღლებისთვის ისეთი ჯამით მიაქვთ, რომელიც ზომის მიხედვით უფრო მეტად შეეფერება კლიენტს. ასევეა, რესტორანში განთავსებაც: დიდი და პატარა ზომის ძაღლებს ცალკე ათავსებენ, რათა კონფლიქტები აირიდონ. ოთხფეხა მეგობრებისთვის არც მუსიკა დავიწყებიათ და მათთვის რესტორანში სასიამოვნო მელოდიები ისმის.

ყველაზე ძვირადღირებული „ფერარი“ გაიყიდა

ნიუ-იორკში გამართულ აუქციონზე, ვაჭრობის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული „ფერარი“ გაიყიდა. ლეგენდარული GTO, რომელიც 1962 წელს გამოუშვეს, თითქმის 52 მილიონ დოლარად გაიყიდა. მისი ახალი მფლობელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა გადაწყვიტა, ღირებულებით, მსოფლიოში მეორე რარიტეტის პატრონია. ასეთი სუპერკარი სულ 36 ცალი გამოვიდა, მათ სპეციალურად, მხოლოდ რბოლებისთვის ქმნიდნენ. გაყიდული „ფერარი“ სახელგანთქმულია გამარჯვებების სერიებით მსოფლიოს პრესტიჟულ ჩემპიონატებზე და საუკეთესო „ფერარის“ ტიტულსაც ფლობს, რაც კი ოდესმე გამოუშვიათ. ყველა დანარჩენი ეგზემპლარებიც, ასევე, კერძო კოლექციებშია.

ძაღლი ოჯახის წევრად აღიარეს

კოლუმბიაში, ბოგოტას სასამართლომ ცხოველი პირველად აღიარა ოჯახის წევრად. განქორწინების შემდეგ, მამაკაცს უფლება მისცეს, ცოლთან დარჩენილი ძაღლი მოინახულოს. ადგილობრივი უნივერსიტეტის რექტორს, ჯეიდერ კასტანიოს შეუძლია, საყვარელი ოთხფეხა მეგობარი ნახოს ხოლმე, რომელზეც მეუღლესთან ერთად, წლების განმავლობაში ზრუნავდა. როგორც მედია წერს, ეს პირველი შემთხვევაა ქვეყანაში, როცა სასამართლომ ცხოველი ოჯახის წევრად იურიდიულ კონტექსტში აღიარა. კასტანიო ცოლს 2021 წელს დაშორდა და მას შემდეგ, ყოფილი მეუღლე მათი ძაღლის – სიმონას ნახვის უფლებას არ აძლევდა. კაცი კი ამტკიცებდა, რომ სიმონას საკუთარ ქალიშვილად მიიჩნევდა. ამის გამო, მას დეპრესია დაეწყო და გადაწყვიტა, სასამართლოსთვის მიემართა. თემიდამ დაადგინა, რომ სიმონა მართლაც კასტანიოს ქალიშვილად ითვლება, ამიტომ მას ძაღლის რეგულარული ნახვის უფლება აქვს. ყოფილი ცოლ-ქმარი ახლა შეხვედრების გრაფიკს ადგენს.

კორეელებს სამსახურში რობოტები ჩაანაცვლებენ



სამხრეთ კორეის ცენტრალურმა ბანკმა კვლევა ჩაატარა და შესაბამისი დასკვნაც დადო. მასში ნათქვამია, რომ მომავალი ორი ათეული წლის განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტი ქვეყანაში, დაახლოებით, 4 მილიონ ადამიანს ჩაანაცვლებს ანუ სამუშაო ადგილების 14%-ს „ჭკვიანი მანქანები“ დაიკავებენ. კვლევაში ნათქვამია, რომ ყველაზე მეტად საფრთხე ემუქრებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც მაღალი შემოსავალი და საუკეთესო აკადემიური მომზადებაც აქვთ. მაგალითად, ექიმებს, ქიმიკოსებს, იურისტებს, ბუღალტრებს. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მთელ მსოფლიოში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შრომის ბაზარს დაანგრევს, თუმცა ამავდროულად, წარმოება 7%-ით გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეას მსოფლიოში რობოტიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე აქვს.

სარეცხის მანქანა ძაღლებისთვის

ჩინეთის უდიდეს მეგაპოლისში, შანხაიში, საერთო მოხმარებისთვის ხელმისაწვდომია სარეცხის მანქანები შინაური ცხოველებისთვის. შესაბამისი ვიდეო ჩინურ სოციალურ ქსელებში გავრცელდა. პატრონს შეუძლია, ამ აპარატთან საყვარელი აღსაზრდელი მიიყვანოს, შესვას შიგნით, რომელიც ჩვეულებრივ სარეცხის მანქანას ჰგავს და დაელოდოს. ცხოველს სხვადასხვა მანიპულაცია უტარდება, ბოლოს თბილი ჰაერის ნაკადით შრება კიდეც. პროცედურის დასრულების შემდეგ, ცხოველი გადმოდის მანქანიდან სუფთა და ბეწვდაპწკენილი. პატრონს ისღა დარჩენია, „გარეცხილ“ ოთხფეხა მეგობარს ჩაეხუტოს და მოეფეროს.

ყველაზე სწრაფი ინტერნეტი გაუშვეს

ჩინეთში, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ინტერნეტი გაუშვეს, რომლის მონაცემთა გადაცემის სიჩქარეც 1.2 ტერაბაიტია წამში. ასეთ პირობებში მომხმარებელს შეუძლია, ერთ წამში, HD-ფორმატში 150 ფილმი გადმოიწეროს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი პეკინსა და გუანჩჟოუს შორის გადის. მისი სიგრძე 3 ათას კილომეტრზე მეტია. როგორც ამბობენ, კაბელი ქსელში ჯერ კიდევ ზაფხულში, ივლისში ჩართეს, თუმცა სრული დატვირთვით მხოლოდ ახლა ამოქმედდა. ეს პროექტი ჩინეთის მომავლის ინტერნეტ-ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ნაწილია. აქამდე მიაჩნდათ, რომ ასეთი სიჩქარით მონაცემთა გადაცემა შესაძლებელი მხოლოდ 2025 წლისთვის იქნებოდა.

მოხუცი ქალი პორნოვარსკვლავი გახდა

ამომავალი მზის ქვეყანაში მცხოვრებმა ხანდაზმულმა ქალბატონმა, იოკო ოგასავარამ განაცხადა, რომ სამი წლის წინ, 81 წლის ასაკში მიიღო გადაწყვეტილება, პორნოინდუსტრიაში ჩართულიყო. მოხუცის თქმით, ახალი სამსახური მას ბედნიერების პოვნაში დაეხმარა. ოგასავარა იაპონიაში ყველაზე ხანდაზმული მსახიობია. ის მონაწილეობს ფილმებში, რომელშიც 50 წელს გადაცილებულებს იღებენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ ფილმების მომხმარებლები 60-დან 90 წლამდე ასაკის მამაკაცები არიან. მოხუცი პორნოვარსკვლავი აცხადებს, რომ სამსახური მოსწონს, ახლა ვარჯიშობს კიდეც და უფრო ენერგიული გახდა.

კოლექცია მდიდარი ბავშვებისთვის

Louis Vuitton-ის სამოდელო სახლმა, წინასაშობაოდ, საბავშვო კოლექცია გამოუშვა. კოლექციაში შედის ტანსაცმელი და აქსესუარები, ასევე, სათამაშოებიც. ფასი, რასაკვირველია, ძალიან მაღალია. ამის გამო, ფრანგული მოდის სახლი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მაგალითად, კოლექციაში წარმოდგენილი სათამაშო დათუნია 1085 დოლარი ღირს, ვერცხლის პატარა საჩხაკუნო კი – 1415 დოლარი. ახალი საბავშვო კოლექციის ყველაზე ძვირადღირებული ობიექტი კარადაა, რომელიც ბრენდის ჩანთის სტილშია შესრულებული. მისი ფასი 7 576 დოლარია. თუმცა, ფასის მიუხედავად, როგორც Daily Mail-ი წერს, სათამაშოებზე მაღალი მოთხოვნის გამო, ინტერნეტ-მაღაზიაში საჩხაკუნოს შეძენა უკვე შეუძლებელია.

რობოტ ძაღლებს წვეულებებს უწყობენ

ერთ-ერთი ინტერნეტ-გამოცემის ცნობით, იაპონიის დედაქალაქში არის სპეციალური კაფე Penguin, სადაც რობოტი-ძაღლების მფლობელები იკრიბებიან. მექანიკური ოთხფეხა მეგობრებისთვის გამართულ წვეულებას Aibo World უწოდებენ. ამ საღამოებზე, ახალი მოდელის ძაღლების ჩვენებას აწყობენ. როგორც ჩანს, მექანიკური ცხოველების სასარგებლოდ, მფლობელებმა გადაწყვეტილება შემთხვევით არ მიიღეს. ისინი რამდენიმე მიზეზს ასახელებენ – ეს არის მცირე ფართობი სახლში, გადატვირთული დღის გრაფიკი და იმის რისკი, რომ ჩვეულებრივი ძაღლები თავისი ყეფით მეზობლებს გააღიზიანებენ. ამას გარდა, ძაღლის მფლობელები მათ სიკვდილს ძალიან განიცდიან, ამიტომაც არჩევანს რობოტ-ცხოველებზე აკეთებენ.

ლუდი ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს

ქარვისფერი სასმელი საკმაოდ საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მისი რეგულარული მიღება შინაგანი ორგანოების გახრწნას იწვევს – ასეთ გასაოცარ დასკვნებს აკეთებენ ჩეხი სწავლულები, მასარიკის სახელობის უნივერსიტეტიდან. მკვლევარები ლუდის სასარგებლო თვისებების შესახებ ინფორმაციას მითს უწოდებენ. მათი განცხადებით, ეს სასმელი ყველაზე დამანგრეველი ფაქტორია ჩეხების კვებაში. მის მოხმარებას გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს, ნებისმიერ სხვა პროდუქტთან შედარებით. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ჩეხეთი ლიდერია ევროპაში თირკმლების კიბოთი დაავადების მხრივ. თავის მხრივ, გერმანელი სწავლულები აცხადებენ, რომ ლუდი ნაკლებად ვნებს ადამიანის ორგანიზმს, ვიდრე ეთანოლზე დამზადებული სასმელები.

ქორწილს ციხე ამჯობინა

ჩინეთში, ცეკვის სტუდიიდან, მამაკაცმა პორტატული აუდიოსისტემა მოიპარა, რათა შეყვარებულზე არ ექორწინა. დანაშაული მან დღისით ჩაიდინა და თანაც ისე, რომ ვიდეოკამერების ობიექტივში კარგად გამოჩენილიყო. მისმა გეგმამ გაამართლა – სამართალდამცავებმა მამაკაცი მალევე იპოვეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. იქ მან აღიარა, რომ თუკი დააპატიმრებდნენ, შეყვარებული ქორწილზე უარს ეტყოდა. გარდა ამისა, დამნაშავემ ისიც განაცხადა, რომ სპეციალურად წამოიღო იაფფასიანი ტექნიკა, სტუდიის მფლობელისთვის დიდი ზარალი რომ არ მიეყენებინა. სწორედ ამის გამო, შესაძლოა, მამაკაცს მსუბუქი სასჯელი აკმარონ. მისი შეყვარებულისთვის ეს ქორწილზე უარის თქმის მიზეზი იქნება თუ არა, ჯერჯერობით, უცნობია.

ვის სჭირდება სამი სამუშაო დღე კვირაში?

40 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანები კვირაში მხოლოდ სამ დღეს უნდა მუშაობდნენ – ასეთ დასკვნებს აკეთებენ ავსტრალიელი სწავლულები. მუშაობის ასეთი რეჟიმი საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს მაღალი შრომისუნარიანობა და ასევე, არ დაიტვირთოს ორგანიზმი ზედმეტი ფიზიკური, თუ ფსიქოლოგიური მოქმედებისგან. მკვლევარებმა დაკვირვება 6.5 ათას მოხალისეზე ჩაატარეს, რომელთა ასაკი 40 წელს აღემატებოდა. ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს რამდენიმე ტესტის გავლა შესთავაზეს. აღმოჩნდა, რომ უკეთესი მაჩვენებელი მათ ჰქონდათ, რომლებიც კვირაში, დაახლოებით, 25 საათს მუშაობდნენ. სწავლულთა თქმით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ 40 წელს გადაცილებულ ადამიანებს შემცირებული სამუშაო კვირა სჭირდებათ. ამით თავს აარიდებენ გადაღლას და კოგნიტური უნარების დაქვეითებას, რაც შრომისუნარიანობის ამაღლებასა და ხარისხიან სამუშაოს შეუწყობს ხელს.

ნარკოტიკებს ავტომატი გასცემს

კანადის ქალაქ ვანკუვერში, სავაჭრო ავტომატი ძლიერ ოპიოიდურ ნივთიერებებს გაყიდის. პროექტი დოზის გადაჭარბებით სიკვდილიანობასთან ბრძოლის ფარგლებში ხორციელდება. ავტომატი ნარკომანებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ჰიდრომორფონის დოზირებულ რაოდენობას – ეს პრეპარატი ჰეროინზე ორჯერ ძლიერია. იდეის ავტორებს სურთ, რომ ნარკომანებმა ამ ავტომატით სუფთა სამედიცინო პრეპარატი შეიძინონ და არა რაღაც გაურკვეველი ნივთიერებები ქუჩაში. ხელის ანაბეჭდის ბიომეტრიული სკანირებით პიროვნების დადგენის შემდეგ, ავტომატი, ნარკომანის რეცეპტის მიხედვით, აბების საჭირო რაოდენობას იძლევა. ვანკუვერში ამ პრობლემას სხვა არასტანდარტული მეთოდებითაც ებრძვიან. ასე, რამდენიმე წლის წინ, ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებს უფლება მისცეს, სპეციალურ პუნქტებში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, აკრძალული პრეპარატები მიეღოთ.

ოცნების ქალის პოვნაში ფულს იხდის

ამერიკელი ჯეფ გებჰარტი, კანზასიდან, 25 ათას დოლარს ჰპირდება მას, ვინც მისი ოცნების ქალს გააცნობს. როგორც აღმოჩნდა, გოგონას მიმართ მთავარი მოთხოვნა ძაღლების სიყვარულია. 47 წლის გებჰარტმა ფსიქოლოგებს მიმართა, მისთვის იდეალური ცოლის როლზე კანდიდატებისთვის ანკეტა რომ შეედგინათ. ვინც მას ისეთ ქალს მოუძებნის, რომელიც ანკეტის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ჯეფი 25 ათასს გადაუხდის. ამდენივე რაოდენობის თანხას ამერიკელი ძაღლების თავშესაფარსაც გაუგზავნის.

„დავიღალე ინტერნეტით გაცნობილი ქალებით და უაზრო პაემნებით. ჩემს დახარჯულ დროსა და წვალებას ფულად ეკვივალენტს მოვუძებნი და თანხას მას გადავუხდი, ვინც საოცნებო ქალს გამაცნობს“, – ამბობს გებჰარტი.

ორსაჭიანი ავტომობილიც არსებობს

ინდონეზიაში მცხოვრებმა მამაკაცმა უნიკალური ავტომობილი შექმნა – მას ორი ძრავა და ორი საჭე აქვს, რომელიც ერთმანეთის საპირისპიროდაა განთავსებული. Double-Faces Car -ის ავტორი 46 წლის რონი გუნავანია. თავისი „რკინის მხედარი“ მან ორი მსუბუქი ავტომობილისგან ააწყო, რომლებიც ადრე ტაქსებად გამოიყენებოდა. უჩვეულო მანქანას ორი მძღოლი შეუძლია ჰყავდეს და ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით იმოძრაოს. გამომგონებლის თქმით, ამ ტრანსპორტის შექმნა მას 4.8 ათასი დოლარი დაუჯდა. Double-Faces Car-ით მეტად მოსახერხებელია გადატვირთული ავტოსადგომიდან გამოსვლა – იმ მხარეს დაჯდები საჭესთან, საითაც უნდა იმოძრაო.

თავშესაფარი მოხუცი მუსიკოსებისთვის

ასეთი დაწესებულება მილანში, ჯუზეპე ვერდის სახლია. დიდმა კომპოზიტორმა, ას წელზე მეტი ხნის წინ, ააშენა შენობა, რათა მცირე შემოსავლების მქონე მუსიკოსებს ცხოვრების ბოლო წლები მუსიკის გარემოცვაში გაეტარებინათ. ვერდის სახლი 1901 წელს – კომპოზიტორის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გაიხსნა. თავადაპირველად, დაწესებულება მხოლოდ მოხუცი მუსიკოსებისთვის აშენდა და ის გაცილებით ადრე იყო მზად. თუმცა, კომპოზიტორმა არ მოინდომა მისი ამოქმედება, არ სურდა, რომ ამისთვის ვინმეს მადლობები ეხადა. ამიტომ ითხოვა, თავშესაფარი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ამოქმედებულიყო. დღეს აქ 20-ზე მეტი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც მოვლა სჭირდებათ და 40 მუსიკოსი, რომლებიც თავს თავად უვლიან. ვერდის სახლში ადგილს ახალგაზრდებსაც უთმობენ – ოთახებს იმ სტუდენტი-მუსიკოსებისთვის აქირავებენ, რომლებიც ლა-სკალას აკადემიაში, ან მილანის კონსერვატორიაში სწავლობენ.

წითელი ღვინო სმენასაც იცავს

წითელი ღვინის რეგულარული მოხმარება სმენის ფუნქციების დაკარგვისგან იცავს ადამიანს – ასეთი დასკვნა გააკეთეს ამერიკელმა მედიკოსებმა, ჰენრი ფორდის ჰოსპიტლიდან. დეტროიტელმა მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს. მათ გამაყრუებელი ხმაურის ზეგავლენის ქვეშ ამყოფებდნენ, ამასთან, ცხოველების ნაწილს რესვერატროლს აძლევდნენ – ქიმიურ ნაერთს, რომლითაც მდიდარია წითელი ღვინო. შედეგად, მღრღნელების იმ ჯგუფში, რომელიც ამ ნივთიერებას იღებდა, სმენის დაკარგვა გაცილებით ნაკლებად აღინიშნებოდა. სტატისტიკის მიხედვით, ადამიანების ნახევარს სმენის დაქვეითება 60 წლიდან აღენიშნებათ, ზოგი კი ამ პრობლემას გაცილებით ადრე, 40-50 წლის ასაკში აწყდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.